ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

პარასკევი, 2 დეკემბერი, 2011 №286 (5666) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა"+ „ტირანები"
10 ლარი
30 ნოემბრიდან



# ცხინვალის უშიშროება ხალხისთვის სროლას არ აპირებს გვ. 2



ძამბოლატ თედეევი რუსეთიდან გაიქცა



გვ. 3 **მაესტროში დაპირისპირება გრძელდება**



ღლონტი და კიწმარიშვილი პოზიციებს არ თმობენ

## რატომ არ სწყალობს ხელისუფლება გაზეთებს გვ. 6

**ნესტან კირთაძე: სააკაშვილს თავისი მასტერკლასი ჯერ არ გამოუყენებია** გვ. 4





**ხათუნა კალმახელიძეს პატიმრების წამების გამო საყვედურობენ** გვ. 3

**ზღულაძე საქართველოში კორუფციის დაბალი დონით ამაყობს** გვ. 6





გვ. 6 **რუსეთი შეიარაღებათა დოღში არ ებმება**

**მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს მუშაობაში ხელს უშლიან** გვ. 5



„ახალი თაობა"+ „ბითლზი"
8 ლარი
23 ნოემბრიდან



ISSN 1987-9385

7 რა სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა გზას გელათიდან სამებამდე?

3 ქრთამზე სახელმწიფო მოხელეები დააკავეს

7 მელორ ვაჩნაძე გლდანის №18 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაიყვანეს

10 ტერაქტი ერაყის ბაზარში: 10 მოკლულია, 25 — დაჭრილი

# ცხინვალის უშიშროება ხალხისთვის სროლას არ აპირებს

თეა მარხვაიძე

ცხინვალში ვითარება ისევ დაძაბულია. ალა ჯიოევას მომხრეების აქცია დილიდანვე განახლდა. აქცია გაიმართა ვლადიკავკაზსა და მოსკოვშიც. მოსკოვში იქ მცხოვრებმა ოსებმა რუსეთის ხელისუფლების პოზიცია გააპროტესტეს, რომელიც აქტიურად არ ერევა ცხინვალში მიმდინარე პროცესებში.

რუსი ექსპერტების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ სამხრეთ ოსეთში მიმდინარე დაძაბულობა, შესაძლოა ანტირუსულ განწყობაში გადაიზარდოს.

ასეთი განწყობა უკვე თვალშისაცემია. ამის ნათელი მაგალითი მოსკოვში, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინ გამართული საპროტესტო აქციაა.

გუშინვე ოსმა ვეტერანებმა გაავრცელეს განცხადება. სადაც ნათქვამია, რომ თუ ცხინვალში სისხლი დაიღვარა, ეს რუსეთის ბრალი იქნება და ამას მათ ღმერთი არ აპატიებს.

რუსეთი ამბობს, რომ ცხინვალის საშინაო საქმეებში არ ერევა. ამასთან, არსებული ვითარების გამო მოსკოვი შეშფოთებასაც გამოთქვამს. ისინი დაპირისპირებულ მხარეებს დიალოგისკენ მოუწოდებენ.

რუსეთმა დაპირისპირებულ მხარეებს გამოსავალიც შესთავაზა. მათი აზრით, კარგი იქნება თუ საპრეზიდენტოდ ისეთ კანდიდატს შეარჩევენ, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღები იქნება.

მოსკოვმა ცხინვალში შუამავალიც გააგზავნა, რომელიც ერთად შეხვდა ალა ჯიოევას და ედუარდ კოკოითის. რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა მხარეები ვერ შეარიგა.




ძამბოლატ თედეევი

მოლაპარაკება საპროტესტო აქციის ფონზე გაიმართა. ალა ჯუიევამ თავის მომხრეებს სახლებში წასვლისკენ მოუწოდა. ხალხმა ამაზე უარი განაცხადა. სანამ მთავრობის შენობაში მოლაპარაკება მიმდინარეობდა, ჯიოევას მომხრეები გარეთ კოკოითის გადადგომას ითხოვდნენ.

კოკოითი მართალია ვერ გადააყენა, მაგრამ მოლაპარაკებებით ჯიოევა მაინც კმაყოფილი დარჩა. კმაყოფილება მან თავის მომხრეებსაც გაუზიარა.

— ჩვენ დავიწყეთ კონსტრუქტიული დიალოგი რუსეთის მხარესთან. ახლა ჩვენ ყველანი მივდივართ სახლებში, რათა მოვიკრიბოთ ძალები, დილიდან კი გავაგრძელებთ დიალოგს, — განუცხადა ჯიოევამ თავის მომხრეებს მოლაპარაკებათა პირველი რაუნდის დასრულების შემდეგ.

მისი მომხრეების დიდმა ნაწილმა სახლში წასვლაზე უარი თქვა. რამდენიმე ასეული ადამიანი თითქმის დილამდე იდგა ცხინვალის ცენტრში. როგორც რუსული მედია იუწყება, ისინი რიგრიგობით მიდიოდნენ იქვე ახლოს მდებარე პოლიკლინიკაში გასათბობად.

კოკოითისგან პირობა მიიღეს, რომ აქციის მონაწილეებს არ დააპატიმრებდნენ. ღამის განმავლობაში მართლა არავინ დაუჭერიათ. ამის მიუხედავად ცხინვალში დაძაბული ვითარება შენარჩუნდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ კოკოითიმ დამატებითი ძალები ჩრდილოეთ ოსეთიდან ჩამოიყვანა.

ოსურ პორტალებზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ ჩრდილოეთ ოსეთის-ალანიის შსს თანამშრომლები ცხინვალში არიან გადმოსროლილი და იქ ოქტომბრის ქუჩაზე მდებარე ყოფილი „ომონის“ შენობაში იმყოფებიან. თავის ბლოგში ამის შესახებ ვლადიკავკაზში მცხოვრები ცხინვალელი ჟურნალისტი პლიევა იუწყება და აღნიშნავს, რომ ეს ძალოვანები შეიარაღებული თვითმხილველების მიერ ცხინვალში იქნენ შემჩნეული.

პლიევას მონაცემებით, ჩრდილო ოსეთის ძალოვნები მილიციის ისეთივე ჩვეულებრივ სამოსში არიან ჩაცმული, როგორიც სამხრეთ ოსეთის მილიციას აცვია, და წარმოშობით არიან ცხინვალის რეგიონიდან, — ამიტომ საუბრით მათ ადგილობრივებისაგან ვერავინ განასხვავებს.

ჟურნალისტს მიაჩნია, რომ ჩრდილო ოსეთის შსს თანამშრომლები ცხინვალში გადმოსროლილი არიან იმ შემთხვევისათვის, თუ ადგილობრივი ძალოვნები უარს იტყვიან კოკოითის ბრძანების შესრულებაზე, რასაც უკვე არაერთხელ ჰქონდა ადგილი, კერძოდ კი „ომონის“ მხრიდან.

„ახალი თაობა“ უკვე იუწყებოდა, რომ ალა ჯიოევა შეხვდა სამხრეთ ოსეთის შს მინისტრს ვალერი ვალიევს. ამ შეხვედრის დასრულების შემდეგ ვალიევმა თქვა, რომ ის ხალხის წინააღმდეგ ძალას არ გამოიყენებდა.

ძალა ხალხის წინააღმდეგ ჯერ მართლაც არ გამოუყენებიათ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ 30 ნოემბერს მომხდარ ინციდენტს. იმ დღეს ჯიოევა და მისი მომხრეები მთავრობის სახლში შეჭრას შეეცადნენ.

ხალხის ნაკადი, რომ შეეჩერებინათ ძალოვანებმა ჰაერში რამდენჯერმე გაისროლეს. „ომონის“ თანამშრომლებმა ხალხს უთხრეს, რომ მათ შტურმის მცდელობის შემთხვევაში, აქციის მონაწილეობისთვის ცეცხლის გახსნის უფლება მისცეს. ამან მოსახლეობა ვერ შეაშინა. ცხინვალის ცენტრში კიდევ უფრო ბევრმა ადამიანმა მოიყარა თავი.

ხალხი აქციის მოსაწყობად გუშინაც მრავლად გამოვიდა. ისინი ცხინვალის თეატრალურ მოედანზე შეიკრიბნენ და კოკოითის გადადგომას ითხოვდნენ. ამის გარდა მათი მოთხოვნაა უზენაესი სასამართლოს განაჩენის გაუქმება. საუბარია იმ განაჩენზე, რომლითაც არჩევნების შედეგები ბათილად სცნეს.

როგორც ოსური მედია იუწყება, კოკოითიმ უკვე მოითხოვა ამ განაჩენის გადახედვა. სარჩელის გასაჩივრება ალა ჯიოევასაც შესთავაზეს. მაგრამ ის წინააღმდეგი წავიდა. ოსური პორტალების ცნობით, სარჩელის შეტანას მისი მომხრეები აპირებენ.

გუშინ კი ალა ჯიოევამ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტს ედუარდ კოკოითს ულტიმატუმი წაუყენა.

სააგენტო ,,რესის“ ცნობით, ჯიოევამ კოკოითს თავისი წარმომადგენლების მეშვეობით, სპეციალური მიმართვა გადასცა, სადაც ის კოკოითისგან მოითხოვს 18:00 საათამდე აღიაროს საპრეზიდენტო არჩევნებში ჯიოევას გამარჯვება.



იმ შემთხვევაში, თუ სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი მის გამარჯვებას არ აღიარებს, ის თავისი მომხრეების შემდგომ მოქმედებებზე პასუხისმგებლობას იხსნის, — ნათქვამია ჯიოევას მიმართვაში.

ჯიოევა ასევე ითხოვს, მისი გამარჯვების აღიარებას, ასევე დე ფაქტო უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას და პარლამენტის გადაწყვეტილების გაუქმებას, რომელიც ქვეყანაში ახალი არჩევნების ჩატარებას გულისხმობს.

— იმ შემთხვევაში თუ ეს მოთხოვნები არ შესრულდება, რესპუბლიკაში მოვლენების შემდგომ განვითარებაზე პასუხისმგებლობას მთლიანად ქვეყნის ხელისუფლებას ვაკისრებთ, — აღნიშნა ჯიოევამ.

ცხინვალში შექმნილ ვითარებას, ვისაც არ ეზარებოდა ყველა გამოეხმაურა. თავი აფხაზეთის აწ გარდაცვლილი პრეზიდენტის ქალიშვილმა ვიქტორია არძინბამაც გაინერვიულა. მან მხარეებს შერიგებისა და საერთო ენის გამონახვისკენ მოუწოდა.

საინტერესო განცხადება გააკეთეს მთიან ყარაბაღშიც. მათ კოკოითის მოუწოდეს ნუ გათელავს ფეხქვეშ დემოკრატიას.

რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი გუშინაც შეხვდა ჯიოევას მომხრეებს. ოპოზიცია ისევ ძველ აზრზე რჩება და დათმობას არ აპირებს.

ათასობით ადამიანი გვიან ღამემდე ცხინვალის თეატრალურ მოედანზე იყო შეკრებილი. ისინი ამბობენ, რომ თავიანთ არჩევანს ბოლომდე დაიცავენ.

უკან დახევას არც თავად ალა ჯიოევა აპირებს, მისმა ნდობით აღჭურვილმა გენერალმა ბარანკევიჩმა ხალხს ბოლომდე დგომისკენ მოუწოდა.

მთავრობის სახლის წინ, გუშინ დიდი რაოდენობით მოიყარეს ძალოვნებს თავი. ოსური პორტალების ცნობით, მთავრობის სახლის კიბეების საფეხურებთან დაჯავშნული ავტომანქანები განალაგეს. ნიღბიანი სპეცრაზმელები მთელ პერიმეტრზე არიან განლაგებული.

ხელისუფლება პირობას დებს, რომ ხალხის მისამართით სროლას არ დაიწყებს. ამის შესახებ განცხადება ადგილობრივი უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ბორის ატოევმა გააკეთა.

ამასთან, ის სიტუაციის უკიდურესად დაძაბვას ელოდება. მისი თქმით, აქციის მონაწილეებს შორის არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც შეიარაღებულ დაპირისპირების პროვოცირებას გეგმავენ.

## ძამბოლატ თედეევი რუსეთიდან გაიქცა

ამ დაპირისპირებაში არ ჩანს ძამბოლატ თედეევი, რომელიც ალა ჯიოევას ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყო. მას არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცეს. როგორც ოსური პორტალები იუწყებიან მან რუსეთი დატოვა. ამის შესახებ ინფორმაციას ვლადიკავკაზში მცხოვრები ალან ჩოჩიევმა. საიტ „იაზდან“-ზე.

ის წერს, რომ თავისუფალ ჭიდაობაში რუსეთის ფედერაციის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლუბიანკაზე იქნა გამოძახებული, სადაც მას სამი გენერალი ემუქრებოდა, მათ შორის „ყველაზე მეტად აქტიურობდა ვინმე ხრამოვი და კიდევ ერთი პოლკოვნიკი“.

ჩოჩიევის თქმით, ისინი მისგან მოითხოვდნენ, რომ მას — ცხინვალის ოპოზიციის რეალურ ლიდერს, უარი ეთქვა ალა ჯიოევას მხარდაჭერაზე, რომელთანაც მან შექმნა ალიანსი მას შემდეგ, რაც უარი ეთქვა პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციაზე,

ფსბ-ს ოფიცრებმა ძამბოლათ თედეევს განუცხადეს, რომ იგი მათ უნდა უმადლოდეს საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაში ოქტომბრის თვეში მისი კოკოითის ძალოვანებთან დაპირისპირების შემდეგ ცხინვალის ყოველგვარი წინააღდეგობის გარეშე დატოვების გამო. მას ასევე ემუქრებოდნენ, რომ დაადანაშაულებდნენ სამშობლოს ღალატში, რაც — როგორც ჩოჩიევი აღნიშნავს.

— ამ მითის შეთითხნა რეალობას სრულიადაც არ იყო მოკლებული იმის გათვალისწინებით, რომ თედეევს ხშირად უწევდა საზღვარგარეთ გამგზავრება, თანაც დიდი ხნით, — წერს ჩოჩიევი.

წყაროს ცნობით, ძამბოლათ თედეევმა უარი განაცხადა მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნების შესრულებაზე და საკუთარი თავის დაუყონებლივი დაპატიმრება შესთავაზა. თუმცა რუსეთის მთავარი მოჭიდავის დაკავებისაგან თავი შეიკავეს, „მაგრამ საღამო ხანს, როდესაც თავის მეგობრებს გენერლებთან შეხვედრაზე მოუყვა, მათ დაუყონებლივ აიღეს ბილეთები და მეორე დილით მასთან ერთად რუსეთი დატოვეს“.

ალან ჩოჩიევს მიაჩნია, რომ თედეევს საერთაშორისო სკანდალის გარეშე ვერ დააპატიმრებენ — ის არის რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ისტორიის სინამდვილეში უბადლო მწვრთნელი, გაწეული ღვაწლისათვის დაჯილდოებულია ჭიდაობის მწვრთნელის საერთაშორისო ფედერაციის სპეციალური პრიზით.

## თბილისში ბელორუსში დაკავებული უფლებათა დამცველის მხარდამჭერი აქცია გაიმართა

თბილისში, პარლამენტის შენობის წინ, ბელორუსი უფლებადამცველის, პატიმარ ალეს ბიალიაცკის მხარდასაჭერად საპროტესტო აქცია გაიმართა. მისი ორგანიზატორი ადამიანის უფლებათა სახლი და მისი წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები: „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ და „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ იყვნენ.

როგორც „მედიანიუსს“ ადამიანის უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელმა უჩა ნანუაშვილმა განუცხადა, 24 ნოემბერს მინსკის სასამართლომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, უფლებადაცვით ცენტრ „ვესნას“ პრეზიდენტ ალეს ბიალიაცკის თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 6 თვით, სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, ქონების კონფისკაციით, მიუსაჯა. სახელმწიფო ბრალდება მას განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების დამალვას ედავება. ალეს ბიალიცკი 2011 წლის 4 აგვისტომდე, ვიდრე მას დააპატიმრებდნენ, აქტიური უფლებადაცვითი საქმიანობით იყო დაკავებული. მისი მოღვაწეობა ღია და გამჭვირაველე იყო. იგი, ძირითადად, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა უფლებებს იცავდა. მტკიცებულებების არქონის მიუხედავად, მას ბრალი ბელორუსის სუკის მიერ პროვოცირებული მეთოდებით წაუყენეს, რომლის მიზანიც ორგანიზაცია „ვესნასა“ და ბიალიაცკის უფლებადაცვითი საქმიანობის შეწყვეტა იყო. „მიგვაჩნია, რომ ალეს ბიალიაცკი უკანონოდ არის დაპატიმრებული. დღეს აქ შეკრებილი ორგანიზაციები მისი გათავისუფლების მოთხოვნით სპეციალურ მიმართვას პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს გავუგზავნით“, — აღნიშნა უჩა ნანუაშვილმა. მისი თქმით, ამ პიროვნების გათავისუფლების მოთხოვნით საპროტესტო აქციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ბელორუსიის საელჩოსთან იმართება. იმის გამო, რომ საქართველოში ამ ქვეყნის საელჩო არ მოქმედებს, არასამთავრობო ორგანიზაციებმა აქციის გამართვა პარლამენტთან გადაწყვიტეს. მისი მხარდამჭერი აქციების გამართვას ისინი სამომავლოდაც აპირებენ. ადამიანის უფლებათა ცენტრი საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მედიასა და ყველა მოქალაქეს, ვისთვისაც დემოკრატიული ღირებულებები და ადამიანის უფლებები ძვირფასია, აღნიშნული სოლიდარობის აქციებში მონაწილეობისაკენ მოუწოდებს.

მედიანიუსი

## სოზარ სუბარი ივანიშვილთან შეხვედრის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს

ქართული პარტიის ექსთავმჯდომარე სოზარ სუბარი არ ადასტურებს მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, იგი ბიძინა ივანიშვილს შეხვდა და მის პოლიტიკურ მოძრაობაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მოლაპარაკება გამართა. როგორც სუბარმა გუშინ ტელეკომპანია მაესტროს შენობის წინ გამართულ აქციაზე ,,მედიანიუსს“ განუცხადა, იგი ამ საკითხზე არ ფიქრობს და ივანიშვილთან არც მოლაპარაკებები დაუწყია.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-84-92-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მაესტროში დაპირისპირება გრძელდება

ნათია ხურცილავა

ტელეკომპანია „მაესტრო“ ისევ ოკუპირებულია. ეროსი კიწმარიშვილი – პირველ სართულზე, მამუკა ღლონტი კი მეორე სართულზეა „გამაგრებული.“ „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებული მოვლენები ისევ უცვლელია. ტელეკომპანიას საგანგებო რეჟიმში უწევს მაუწყებლობა.

თოქშოუების ნაწილი რადიო „მაესტროს“ სტუდიიდან გადის. საინფორმაციო გადაცემა კი მაესტროს ოფისიდან. თუმცა, გუშინ „მაესტროს“ ჟურნალისტების მიერ გავრცელებული განცხადებიდან ირკვევა, რომ მათ აღნიშნულ ვითარებაში უჭირთ მუშაობა.

– ჩვენ ამ დრომდე არ გვეძლევა საშუალება, სრულფასოვნად გავაგრძელოთ მუშაობა. ჩვენ მივესალმებით მოწოდებას, რომ დაიწყოს მოლაპარაკება დამფუძნებელ მამუკა ღლონტსა და რუსთავის მედიის მართვის კომპანიის დამფუძნებელს ეროსი კიწმარიშვილს შორის. ვეთანხმებით სტატუს-ქვოს აღდგენას. თუმცა, ვაკონკრეტებთ, რომ მოლაპარაკების დაწყების დროს მაესტროს ტერიტორია ეროსი კიწმარიშვილთან ერთად უნდა დატოვონ მისმა თანმხლებმა, ჩვენთვის უცხო პირებმა, რადგან ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია მათი ყოფნა ტერიტორიაზე. ისინი ხელს გვიშლიან მუშაობის გაგრძელებაში. გვიზღუდავენ გადაადგილებას, ბლოკირებული აქვთ მეორე და მესამე სართულის შესასვლელი. თითოეული ჩვენგანისთვის კატეგორიულად მიუღებელია ასეთ ვითარებაში მუშაობა, რადგანაც ჩვენი აზრით ვერ იქნება შენარჩუნებული სარედაქციო დამოუკიდებლობა და ობიექტურობა. ჩვენ კვლავაც ვაპროტესტებთ ეროსი კიწმარიშვილის, ტელეკომპანიაში შემოსვლის ფორმას, ტელეკომპანიის თანამშრომლების გათავისუფლებას, ნებისმიერ ძალადობრივ მოქმედებასა თუ განცხადებას. – ნათქვამია განცხადებაში.

ტელეკომპანია „მაესტროს“ დამფუძნებლებმა პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან დაკავშირებით სარჩელი შეიტანეს.

– ჩვენ სარჩელი შევიტანეთ პროკურატურაში, ამ დოკუმენტებს თან დავურთეთ ის დისკი, სადაც აღბეჭდილია თუ როგორ გადაძვრა ეროსი კიწმარიშვილი თავის თანამებრძოლებთან ერთად ამ შენობის კედელზე. – განაცახდა „მაესტროს“ ადვოკატმა.

დღის პირველ ნახევარში ეროსი კიწმარიშვილმა მამუკა ღლონტსა და „მაესტროს“ დამფუძნებლებს ულტიმატუმი წაუყენა. მან ღლონტს ტელეკომპანიის ოფისის დატოვებისკენ მოუწოდა. ის ამბობს, რომ მამუკა ღლონტმა, როგორც განთავისუფლებულმა თანამშრომელმა ტელეკომპანია უნდა დატოვოს. ამის შემდეგ მზად არის მოლაპარაკება დაიწყოს.



**ეროსი კიწმარიშვილი:**

– მივმართავ დამფუძნებლებს, რომ კეთილი ნება გამოიჩინონ და მამუკა ღლონტმა მის მიერ ბლოკირებული საინფორმაციო საშუალების ტერიტორია დატოვოს. მე ვამბობ, რომ ნებისმიერი ტიპის ურთიერთობის გარკვევა გადავიტანოთ ტელევიზიის გარეთ და დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან პირდაპირ ან საზოგადოების ნებისმიერი მედიატორის მონაწილეობით. თუ მათი მხრიდან ეს წინადადება არ იქნება მიღებული, ჩვენ გამოვიყენებთ ჩვენს საშუალებებს და „მაესტროს“ სრულფასოვან მაუწყებლობას აღვადგენთ.

***– რა საშუალებით?***

– იძულების ძალით გამოვიყვანთ მამუკა ღლონტს და ჟურნალისტებს მივცემთ საშუალებას, რომ ნორმალურ ფუნქციონირებას დაუბრუნდნენ. მამუკა ღლონტი უნდა გავიდეს შენობიდან, შემდეგ დავსხდებით მოლაპარაკებებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მე ჩემს უფლებებს განვახორციელებ. ამის დიდხანს გაგრძელება არ შეიძლება. კარი უნდა გაიღოს. თუ კარი ჩაკეტილია მისი გახსნა ძალისმიერი მეთოდით ხდება.



ეროსი კიწმარიშვილი

***– რას იტყვით ახალგაზრად იურისტთა ჩართვაზე?***

– ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა გააკეთდ საკმაოდ სწორი შეთავაზება, რომ მზად არიან ამ პროცესში, როგორც შუამავლებმა, მიიღონ მონაწილეობა. სიამოვნებით ვთავაზობ მათაც და სხავ ჯგუფსაც, მაგალითად, იური ვაზაგაშვილმა დამირეკა და დახმარება შემომთავაზა, როგორც პროცესში მონაწილემ. ვინ იქნება ამას მნიშვნელობა არ აქვს. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს უნდათ, რომ პროცესი გადაწყდეს მასმედიის სარგებლოდ, რაშიც ჩვენ თანახმა ვართ. მამუკა ღლონტის შემოთავაზება მოვისმინე, მაგრამ ჯერჯერობით პროცესში ვართ. შიდა ნიუანსები მოლაპარაკებების პროცესში გამოსატანი არ არის. ბოლოს და ბოლოს მედიის ბეგრაუნდის გარდა დიპლომატიური ბეგრაუნდიც მაქვს.

***– ღია არ იქნება მოლაპარაკების პროცესი?***

– ღია როგორ შეიძლება მოლაპარაკებები იყოს.

***– რას იტყვით გავრცელებულ ხმებზე, რომ შეიძლება ტელეკომპანია ივანიშვილმა იყიდოს და თქვენ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდეთ?***

– ბიძინა ივანიშვილის დღევანდელი განცხადება, რომელიც გააკეთა, ვთვლი, რომ არ შეიძლება ასეთი ტიპის განცხადება გააკეთოს. თუ მე არ მაქვს უფლება, რომ ვილაპარაკო, ვითომ იმ კომპანიის განვითარებისთვის, რომელიც ჩემი ფინანსებით, ჩემი დახმარებით ხორციელდება, ასევე არ აქვს ბიძინა ივანიშვილს უფლება, ილაპარაკოს „მაესტროზე“ მრავლობით რიცხვში და თქვას „ჩვენი“. პირადპირ შემიძლია გითხრათ, არაკორექტული განცხადება იყო.

მამუკა ღლონტმა ეროსი კიწმარიშვილს წინადადებით მიმართა, ტელეკომპანია „მაესტროს“ შენობა ორივემ დატოვონ და მოლაპარაკებათა მაგიდას მიუსხდნენ.

– მიუხედავად იმისა, რომ კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი ეროსი კიწმარიშვილთან მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომის, კოლეგებთან კონსულტაციების შემდეგ მივიღე შემდეგი გადაწყვეტილება: მზად ვარ, დავჯდე მასთან მოლაპარაკების მაგიდასთან, თუ „მაესტროში“ აღდგება სტატუსქვო, ანუ დაბრუნდება ის სიტუაცია, რაც იყო კიწმარიშვილის შემოჭრამდე და ტელეკომპანიას დაუბრუნდება გენერალური დირექტორი ილია კიკაბიძე, რომელიც საჯარო რეესტრში ისევ „მაესტროს“ გენერალურ დირექტორადაა რეგისტირებული. თავის თანმხლებ პირებთან ერთად ტელეკომპანიის შენობას თუ დატოვებს ეროსი კიწმარიშვილი, ამ შემთხვევაში მეც დავტოვებ „მაესტროს“ შენობას. – აღნიშნული წინადადებით მამუკა ღლონტმა ეროსი კიწმარიშვილს მიმართა.

## ღლონტი და კიწმარიშვილი პოზიციებს არ თმობენ

**მამუკა ღლონტი:**

– ის დამემუქრა, რომ ძალის გამოყენებით გამიყვანს „მაესტროს“ შენობიდან. რომელ კონსენსუსზე არის საუბარი. ეს ადამიანი არის ტერორისტი. ეს ადამიანი მედიას ემუქრება, რომ მედიაზე ძალას იხმარს. ვის უნდა ვესაუბრო მე? ტერორისტებს არ ესაუბრებიან. ტელევიზიის შენობის დატოვებისა და მოლაპარაკების დაწყების წინადადებით ღლონტს დღეს დილით ეროსი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ქრთამზე სახელმწიფო მოხელეები დააკავეს

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა გამოავლინეს სახელმწიფო მოხელეების მიერ კორუფციული დანაშაულის მორიგი ფაქტები.

დაკავებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ლიცენზირებული საწარმოს დირექტორი, რობიზონ თავაძე და სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერის რწმუნებული, ზურაბ ვერულეიშვილი, რომლებმაც მეწარმეს მიწის ნაკვეთის პრივატიზებაში დახმარების სანაცვლოდ გამოსძალეს 6000 ლარი.

ასევე დაკავებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქვემო ქართლის აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს თანამ-



შრომელი, ირაკლი გიგინეიშვილი,რომელმაც მეწარმეს უძრავი ქონების პრივატიზებაში დახმარების სანაცვლოდ ქრთამის სახით გამოსძალა 500-500 ლარი.

დანაშაული ითვალისწინებს 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. სისხლის სამართლის საქმეს იძიებს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი.

**მედიანიუსი**

# ხათუნა კალმახელიძეს პატიმრების წამების გამო საყვედურობენ

შალვა ჯოხაძე

სანამ ციხეების მინისტრი ხათუნა კალმახელიძე პურის საწარმოების გახსნით იწონებს თავს, მსჯავრდებულებს საავადმყოფოს მორგში აწამებენ, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში კი გარდაცვლილი პატიმრების შესახებ გადაწყვეტილებები გამოაქვთ.

– საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ ხათუნა კალმახელიძესთან ერთად რუსთავის №16 დაწესებულებაში პურის საწარმო გახსნა. საწარმოში, პირველ ეტაპზე, 40-ზე მეტი მსჯავრდებული დასაქმდება და ყოველთვიურ ანაზღაურებას მიიღებს. საქართველოს მთავრობის 10-პუნქტიანი სტრატეგიული გეგმის ფარგლებში, სამინისტრო, თავის მხრივ, ხელს უწყობს პენიტენციურ სისტემაში სამუშაო ადგილების შექმნას, მსჯავრდებულთა შრომის ბაზარზე მორგებას და მათ პროფესიულ განათლებას.



ხათუნა კალმახელიძე

№16 დაწესებულებაში უკვე მოქმედებს საგანმანათლებლო სახლი, სადაც მოთხოვნადი პროფესიების შესწავლა მიმდინარეობს.

პურის საცხობი საწარმო უკვე ერთი წელია წარმატებით ფუნქციონირებს ქსნის №15 დაწესებულებაში.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, პენიტენციური სისტემის რეფორმის ფარგლებში, მსჯავრდებულთა დასაქმების შესაძლებლობების გაფართოებას მომავალშიც გეგმავს, – ასეთ ცნობებს ავრცელებს კალმახელიძის უწყება მაშინ, როცა 10-პუნქტიანი გეგმისა და პურის ცხობის ნაცვლად პატიმრებზე რეალურად უნდა ზრუნავდეს.

დღე არ გავა, ქართული ციხის კოშმარული რეალობის შესახებ მორიგი ინფორმაცია არ გავრცელდეს. ადვოკატ კახა მუმლაძის თქმით, რამდენიმე დღის წინ პატიმარი კახა ბარათაშვილი გლდანის №18 სამკურნალო დაწესებულებაში აწამეს. მსჯავრდებულს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გაუსწორდნენ, რომ თირკმლის შეტევის გამო ექიმი და წამალი მოითხოვა.

ადვოკატის ინფორმაციით, პატიმარი ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გაიყვანეს პალატიდან, მორგში ჩაიყვანეს, გააშიშვლეს, გაკოჭეს, იატაკზე დააგდეს, სცემეს და თან ცივ წყალს ასხამდნენ. აღსანიშნავია, რომ არ დავიწყებიათ ბოლო პერიოდში ფართოდ დანერგილი მეთოდი – გაუპატიურების მუქარაც. მსჯავრდებულმა ცემისაგან გონება დაკარგა. როდესაც აზრზე მოვიდა, უთხრეს, სიკვდილი თუ არ გინდა, დაწერე, რომ ტკივილები ისე გაწუხებდა, დაზიანებები თავად მიიყენეო. რადგანაც პატიმარმა მომხდარის შესახებ დუმილს ხმის ამოღება ამჯობინა, ადვოკატი ეჭვობს, რომ მის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრება.

მსჯავრდებულის წამებაში მონაწილე ციხის თანამშრომლებს შორის განსაკუთრებით უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი გიორგი ავსაჯანიშვილი გამოირჩეოდა. ცნობისათვის, 44 წლის კახა ბარათაშვილი ციხეში 2004 წლის 31 დეკემბრიდან იმყოფება. მას 8–წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი და გათავისუფლებამდე 1 წელიღა დარჩა.

## გარდაცვლილი პატიმრის ოჯახი ბიუჯეტიდან 15 ათას ევროს ითხოვს

ადვოკატ მუმლაძის ეჭვები არცთუ უსაფუძვლოა, რადგანაც პატიმრების სიკვდილიანობამ ქართულ ციხეში ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლებამ სტრასბურგის სასამართლოში მორიგი საქმე წააგო. საქმეზე „ნიკო მახარაძე-დალი სიხარულიძე საქართველოს წინააღმდეგ“ ჩვენს სახელმწიფოს მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 15 ათასი ევროს გადახდა და პატიმრის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიების დაწყება დაეკისრა. ევროსასამართლოს განაჩენის შესახებ „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარის მოადგილე თეა წულუკიანი საუბრობს. მისი თქმით, სტრასბურგის განაჩენში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ პატიმარი ნიკო მახარაძე საქართველოს ციხეში ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის გაუმართაობის გამო დაიღუპა.

ნიკო მახარაძე 2006 წლის გაზაფხულზე დააკავეს, რა დროსაც ის უკვე დაავადებული იყო მულტირეზისტენტული ტუბერკულოზით. იმ დროს საქართველოს არა თუ პენიტენციალურ სისტემაში, სამოქალაქო სისტემაშიც არ არსებობდა ამგვარი მძიმე ფორმის ტუბერკულოზის მკურნალობის საშუალება, ამიტომ მის ოჯახს გერმანიიდან შემოჰქონდა მეორე თაობის ანტიტუბერკულიოზური მედიკამენტები და პატიმარს ციხეში აწვდიდა.

წულუკიანის თქმით, ციხის ექიმები ამ მედიკამენტებზე მკაცრ კონტროლს არ აწესებდნენ, როგორც ამას ამგავრი ფორმით დაავადებული პატიმრის მკურნალობა მოითხოვს, რადგან ეს მედიკამენტები არის უკიდურესად ტოქსიკური და აქვს გვერდითი მოვლენები. ამიტომ მახარაძემ 2008 წელს, როდესაც ის იმყოფებოდა გლდანის მე-8 საპყრობილეში, სტრასბურგის სასამართლოს მიმართა და სთხოვა, მიეთითებინათ იუსტიციის სამინისტროსთვის, რომ სასწრაფოდ ყოფილიყო გადაყვანილი სპეციალიზებულ ტუბდისპანსერში, სადაც, უკვე იმ დროისთვის, სამოქალაქო სექტორში მეორე თაობის კომპლექსური მკურნალობის პროგრამა არსებობდა.

როგორც წულუკიანმა აღნიშნა, სასამართლომ 2008 წლის ნოემბრის დასაწყისში, ნიკო მახარაძის გარდაცვალებამდე სამი თვით ადრე, იუსტიციის სამინისტროს მიუთითა, უვადოდ და სასწრაფოდ გადაეყვანათ პატიმარი სპეციალიზებულ დაწესებულებაში, რათა მისი სიცოცხლე გადარჩენილიყო. – იუსტიციის სამინისტრომ ეს მითითება არ შეასრულა და ნიკო მახარაძე სიკვდილისთვის გაწირა. სამინისტრომ სასამართლოს უთხრა დიდი სიცრუე, რომ პატიმრის სამოქალაქო სექტორში გადაყვანით არაფერი შეიცვლებოდა, რადგან ამ სექტორში მეორე თაობის კომპლექსური მკურნალობის პროგრამა არ არსებობდა, სინამდვილეში, 2008 წლის მარტიდან ეს პროგრამა ორ დაწესებულებაში უკვე ჰქონდათ, – განაცხადა წულუკიანმა.

აღსანიშნავია, რომ მახარაძემ ციხეში ორჯერ მიმართა პროტესტის უკიდურეს ფორმას – შიმშილობას, ერთხელ იმიტომ, რომ მისი დამატებითი მკურნალობის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება არ სრულდებოდა და მეორე იმიტომ, რომ მის სამოქალაქო სექტორში სათანადო მკურნალობაზე იუსტიციის სამინისტრო უარს ამბობდა.

– სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ქვეყნის მასშტაბით მედიკამენტების და სამკურნალო ინფრასტრუქტურის უქონლობა კონკრეტული დაავადებისათვის მთელი სამედიცინო დახმარების ხარისხს აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ მით უმეტეს, როცა ამგვარი ნაკლებობა პირდაპირ უარყოფით გავლენას ახ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ნესტან კირთაძე: სააკაშვილს თავისი მასტერკლასი ჯერ არ გამოუყენებია

შორენა კოწოწაშვილი

ტელეკომპანია „მაესტროში" განვითარებულ მოვლენებს ნესტან კირთაძე პოლიტიკურ ჭრილში განიხილავს და არა მხოლოდ კომპანიის მმართველსა და დამფუძნებლებს შორის დავად. პროფესორი კირთაძე დარწმუნებულია, რომ ეს ყველაფერი ხელისუფლების ინტერესებში ზის და რომ სააკაშვილი ყველანირად ეცდება ვადამდელი არჩევნების ნიადაგი შექმნას.

— ეს ხელისუფლება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად განიხილავს მისი დარჩენის და ახლის მოსვლის საკითხს. რასაკვირველია, ეს ყველაფერი ბიძინა ივანიშვილს უკავშირდება. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ეს წკიპურტიც არ არის მიმართული მიშა სააკაშვილის მხრიდან თავისი ოპონენტის მიმართ. მიშას თავისი მასტერკლასი ჯერ არ გამოუყენებია მისთვის არასასურველი ოპონენტის წინააღმდეგ. მასტერკლასს სააკაშვილი აჩვენებს ახლა, თანდათან და ეს იქნება საკმაოდ მძიმე, — აცხადებს ნესტან კირთაძე.

არის თუ არა „მაესტროში" განვითარებული მოვლენები კავშირში ბიძინა ივანიშვილთან და ჯდება თუ არა ეროსი კიწმარიშვილის ქმედებები სააკაშვილის და მისი ხელისფლების ინტერესებში? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ნესტან კირთაძესთან.

***— ქალბატონო ნესტან, როგორ აფასებთ „მაესტროში" განვითარებულ მოვლენებს, გარედან როგორ ჩანს პარტნიორებს შორის დავა და რამდენად ახლავს ამ ყველაფერს პოლიტიკური ელფერი?***

— ის, რაც გარედან ჩანს, რომ ორი მხარე ერთმანეთს ედავება „მაესტროში", როდესაც ერთმანეთს უხსნიან ხელშეკრულების პუნქტებს; მმართველია მფლობელი თუ მფლობელია მმართველი, ეს ყველაფერი, ვფიქრობ, არის მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური საბაბი. ამას არა მხოლოდ მე ვფიქრობ ასე, ეს არის ფორმალური საბაბი, სინამდვილეში აქ არის პოლიტიკა. რასაკვირველია, აქ არის ყველაზე ცუდი ტრადიცია, რაც კი ბოლო რვა წელიწადს გამოყვა. ეს ტრადიცია, რომელიც ხელისუფლების ტრადიცია გახლავთ, ამას ჰქვია ერთადერთ სახელი — ეს არის თავისუფალი სიტყვის დევნა. ეს არის ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული აქციები. მოდით, ხელახლა გავიხსენოთ, რატომ ბადებს ასეთ ასოციაციებს ტელეკომპანია „მაესტროში" განვითარებული მოვლენები ცუდ გამოცდილებას და ცუდ ტრადიციას. როდესაც ეს ვარდოსნული ხელისუფლება მოვიდა სათავეში, დავთვალოთ, რამდენი ტელეკომპანია დაიხურა; როგორი წინააღმდეგობა ჰქონდა მას ბეჭდვით მედიასთან; ვთქვათ ღიად და ვიყოთ სამართლიანები: ეს ხელისუფლება ყველაზე მეტად მეგობრობდა ჟურნალისტებთან, ყველაზე მეტად იცოდა ჟურნალისტების ფასი. ერთმა ჩემმა მეგობარმა თქვა, ამათ გვარები შეიცვალეს და ხელისუფლებას ასე იოლად არ დათმობენო. ანუ დღევანდელმა ხელისუფლებამ, რომელმაც ზუსტად იციას, რომ ასე რეალური არასოდეს ყოფილა საქართველოში ხელისუფლების შეცვლის და ცვლილებების დრო, ძალიან კარგად იცის რა ფასი მედიისა, ტელეკომპანიისა, რასაკვირველია, იგი პირდაპირ ან ირიბად შეეცდება ჩაერიოს თავისუფალი ტელეკომპანიების ფუნქციონირებაში და მოირგოს იგი სათავისოდ ყველაზე მინიმუმ. მაქსიმუმ კი შექმნას ბარიერები და შეაჩეროს მისი ფუნქციონირება.

***— თქვენ პოლიტიკა ახსენეთ, ხელისუფლების ინტერესებში ჯდება ის, რაც „მაესტროში" ხდება თუ კიწმარიშვილი, როგორც „ქართული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი, პარტიული ინტერესებიდან მოქმედებს?***

— მესმის, რაზეც მიანიშნებთ. მე გუშინვე გავავრცელე „მაესტროს" და ჟურნალისტების მხარდასაჭერი განცხადება. მიმართვაში არ შემოვიფარგლე მხოლოდ ზოგადი სოლიდარული ტერმინოლოგიით, რომელიც ყველა დემოკრატი პოლიტიკოსისათვის აუცილებელი უნდა გამხდარიყო. მე არ შემოვიფარგლე მხოლოდ ორ მოდავე მხარეს შორის იმის მითითებით, რომ მათ ეს საკითხები კანონის სახელით სასამართლო სტრუქტურებში უნდა დაარეგულირონ. მე პირდაპირ მივმართე მიხეილ სააკაშვილს და ვუთხარი, რომ დროა თვალი გაუსწოროს რეალობას: რომ ეს რეალობა პირდაპირ დაკავშირებულია ცვლილებებთან; რომ საქართველოს მომავალი არის ცვლილებები და ეს ცვლილებები ქართველ ხალხთან ერთად ჟურნალისტებმა, ტელეკომპანიებმა, ბეჭდური მედიის მესვეურებმა და წარმომადგენლება, ყველამ ერთად უნდა მოვიპოვოთ, როგორც მონაპოვარი და როგორც ხვალინდელი დღე. ამიტომაც, თუ ვინმე ცდილობს დღეს დიპლომატიურად გვერდი აუაროს და ალტკინების პოლიტიკაზე გაიაროს ხელისუფლებასთან, რასაკვირველია, ეს ყველას უფლებაა და ყველას ნებაა. მაგრამ ვიყოთ რეალისტები და ვთქვათ: რა ხდება ამ დღეებში ბეჭდურ მედიასთან და ბეჭდური მედიის შევიწროვებასთან, პირდაპირ ვთქვათ, ლამის აკრძალვასთან დაკავშირებით,




როდესაც პრესის გავრცელების ჯიხურების საკითხი, ერთ-ერთი ნომერ პირველი ნიუსია. ანუ ირიბად პრესის ჯიხურების აკრძალვა და რაღაც ყალბი ტენდერების გამოცხადება, რომელიც აბსოლუტურად არავითარ ეკონომიკურ და ფინანსურ წარმატებას პრაქტიკულად ბიუჯეტგამოცლილ და ფინანსებგამოცლილ საქართველოს ბიუჯეტს არაფერს არ მატებს, ანუ მას არ აქვს კომერციული, მას აქვს პირდაპირ პოლიტიკური დატვირთვა, რომ მოქალაქეები დატოვონ ინფორმაციის გარეშე. ხელისუფლებას უნდა მხოლოდ სახელისუფლო პროპაგანდის იმედად დავრჩეთ. ხალხი კი ცვლილებების მოლოდინშია და ლამის პურზე მნიშვნელოვანი დღეს ინფორმაციის მიღება გახდა, როდის და როგორ განხორციელდება ცვლილებები.

***— თქვენი აზრით, საქართველოში ხელისუფლების ცვლილება ანუ ნაციონალური უმრავლესობის ძალაუფლების სათავიდან გაშვება გარდაუვალია?***

— ყველას უნდა ახსოვდეს, რომ 2012 წელი არ არის კალენდარული თარიღი საქართველოსთვის. ეს ადრეც ვთქვი და ვიმეორებ: 2012 წელი არის პოლიტიკური თარიღი საქართველოსთვის. 2012 წელს სრულდება ყოველგვარი სახელისუფლებო ვადა მიხეილ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის უმრავლესობისთვის. 2012 წელი, როგორც პოლიტიკური თარიღი, უკვე ცვლილებების თარიღია. თუ ძველს უსრულდება ყოველგვარი სახელისუფლებო ვადა, მაშასადამე, რეალური ცვლილება უნდა განხორციელდეს და არა ძველი პოლიტიკური მმართველების რაღაც ტიპის ტრანსფორმაცია უკვე ახალ დროში. ამიტომაც, თუ ეს მოცემულობა დგას, როგორც პოლიტიკური თარიღი და როგორც აუცილებლობა, ახლა ბურთი გადაგდებულია უკვე ჩვენი ხალხის მხარეს, რომელსაც ცვლილებები უნდა. ეს ხალხი ბოლო ხუთი წელია ბეჯითად, შეუპოვრად, პრინციპულად დგებიან ქუჩაში, უსმენენ ზოგიერთი ვაიპოლიტიკოსის ყალბ რიტორიკას, რომლებმაც ბევრჯერ გაყიდეს ჩვენი ხალხი: გაყიდეს მათი ხმები, გაყიდეს რაოდენობრივად, გაყიდეს წონით, გაყიდეს მათი ემოციები, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ახლა მგლის შიშით ფარა გავწყვიტოთ.

***— ისევ „მაესტროს" დავუბრუნდეთ. ზოგიერთი ფიქრობს, რომ „მაესტროში" განვითარებული მოვლენები ბიძინა ივანიშვილის პირდაპირ ეთერს უკავშირდება. თქვენც ასე ფიქრობთ?***

— თქვენი შეკითხვა უკვე პასუხსაც გულისხმობს. ეს პასუხი უბრალოდ ნიშნავს ძველ გამოცდილებას. აქ ლაპარაკი არ არის ხელისუფლების შეცვლისა და არშეცვლის საკითხზე. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად განიხილავს ეს ხელისუფლება მისი დარჩენისა და ახლის მოსვლის საკითხს. რასაკვირველია, ეს ყველაფერი ბიძინა ივანიშვილს უკავშირდება. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ეს წკიპურტიც არ არის მიმართული მიშა სააკაშვილის მხრიდან თავისი ოპონენტის მიმართ. მიშას თავისი მასტერკლასი ჯერ არ გამოუყენებია მისთვის არასასურველი ოპონენტის წინააღმდეგ, ეს წკიპურტიც არ არის მიმართული მიშა სააკაშვილის მხრიდან თავისი ოპონენეტის წინააღმდეგ. მასტერკლასს სააკაშვილი აჩვენებს აწი, თანდათან და ეს იქნება საკმაოდ მძიმე. რაც ხდება დღეს ტელეკომპანია „მაესტროში", რა თქმა უნდა, ეს არის გაგრძელება სხვადასხვა ფორმალური საბაბით, მაგრამ გაგრძელება პასუხისა, ან პასუხის პასუხისა, რომელიც მოხდა გუშინ, რომელიც შეიძლება მოხდეს ხვალ და ა.შ. რა თქმა უნდა, „მაესტროში" შექმნილი კრიზისი ეს არის პოლიტიკური საკითხი და არა მფლობელებსა და მმართველებს შორის შექმნილი გაუგებრობის მოწესრიგების მცდელობა.

***— რა შეიძლება იყოს ის მძიმე მასტერკლასი, რომელიც თქვენ ზემოთ ახსენეთ? თავად ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილს, როგორც ჩანს, ჭკვიან პოლიტიკოსად არ განიხილავს.***

— მე ივანიშვილის ნათქვამზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. ეს მისი პოზიცია და აზრია. მით უმეტეს, იმ ადამიანისა, რომელსაც უახლოესი ურთიერთობა ჰქონდა მიშა სააკაშვილთან, როგორც პარტნიორთან თუ გნებავთ, როგორც მის ერთ-ერთ საყრდენთან. წაექცა რა ეს ბოძი, რა თქმა უნდა, სააკაშვილი არის სრულ პანიკაში, მით უმეტეს, რომ ეს ბოძი უკვე ცდილობს, რომ დამოუკიდებელი პოლიტიკური კამპანია აწარმოოს, თანაც იმ დროს, როდესაც ხელისუფლების შეცვლისათვის პოლიტიკური თარიღი უკვე ჩამოკიდებულია.

***— სასტიკ მოქმედებებში რას გულისხმობთ?***

— ყველაფერს. მე ვფიქრობ, რომ მიშა სააკაშვილის ფანტაზიის ნაყოფი ამ მიმართულებით არის ამოუწურავი. იქნება ძველი გამოცდილების გაზიარებაც და იქნება გარკვეული ტიპის სიახლეებიც. ანუ ბევრი ნოვაცია იქნება ამ თვალსაზრისით, მაგრამ ნოვაცია ყოველთვის მიმართული იქნება ცვლილებების წინააღმდეგ, მათ შორის, არ არის გამორიცხული, რომ რაღაც ტიპის რეპრესიების ეპიზოდიც კი ვნახოთ ჩვენ უახლოეს მომავალში.

***— შეიარაღებულ კონფლიქტამდე ან საგანგებო მდგომარეობამდეც შეიძლება მივიდეს ქვეყნის შიგნით ვითარება? პოლიტიკოსთა ნაწილი ფიქრობს, რომ სააკაშვილი ამ გზით ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს.***

— თუ ჩვენ ვხედავთ, როგორი დიდი ენერგიით მოძრაობს იგი საქართველოს რეგიონებში და პროპაგანდისტულ მედიაში რა დიდი დოზით ხდება მისი ტრანსლირება, პირდაპირი ჩართვები, მათ შორის კერძო დაწესებულებების გახსნის დროს, ასეთი მარაზმი, რომელიც ჩვენ ხშირად გვინახავს, ეს იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილი ვადამდელი არჩევნებისთვის ემზადება. ახლა ჩნდება კითხვა, რამდენად აძლევს ხელს სააკაშვილს ვადამდელი არჩევნები? რა თქმა უნდა, მას ხელს აძლევს ვადამდელი არჩევნების შენარჩუნება და იგი ასეთი ტიპის ვოიაჟებს და ასეთი ტიპის ხარჯებს უკვე მომავალი წლის ნოემბრამდე ვერ მიიტანს. თუ ჩვენ მკითხველს ღიად ვეტყვით, რომ პრაქტიკულად ბიუჯეტი ცარიელია. თუ ჩვენ ვეტყვით, რომ ვერც ერთი დონორი ვერ შეავსებს საქართველოს ბიუჯეტს, გარდა ჩვენი მოსახლეობის „გაწეწევით" ამოღებული გადასახადებისა, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმას, რომ მიშას მთავარი დონორები უკვე სააკაშვილის მხარეს აღარ არიან, ეს იმას ნიშნავს, რომ მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ვადამდელი არჩევნები მოასწროს. მაგრამ იქნება ძალან სასტიკი, მნიშვნელოვანი და იქნება პრინციპულად სწორი, თუ პროცესი მივა სწორედ არჩევნებამდე თავის თარიღში. არადა ამის შემდგომ მოხდება ჩვენი მოსახლეობის ნების აღსრულება.

# მაესტროში დაპირისპირება გრძელდება

დასაწყისი მე-3 გვერდზე

კიწმარიშვილმაც მიმართა. ეროსი კიწმარიშვილი მზად არის, „მაესტროს" დამფუძნებლებთან მოლაპარაკება არასამთავრობო ორგანიზაციების მედიატორობით აწარმოოს, თუმცა აქვე განმარტა, რომ მოლაპარაკებების დაწყება მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, რაც მამუკა ღლონტი დატოვებს შენობას.

დღის მეორე ნახევარში დაპირისპირებულ მხარეებთან მოლაპარაკება გამართეს კოალიცია „მედია ადვოკატირებისათვის" წარმომადგენლებმა, რათა კიწმარიშვილმა და ღლონტმა ტელეკომპანიის შენობა დატოვონ და მოლაპარაკების პროცესი დაიწყოს.

კოალიცია „მედია ადვოკატირებისთვის" წევრების განცხადებით მოლაპარაკება ორივე მხარესთან გაიმართა.




— ჩვენი პროტესტი გამოიწვია იმან, რომ ჟურნალისტები გარეთ, ეზოში იყინებიან სახელდახელოდ მოწყობილი სტუდიებიდან გადიან ეთერში და არ აქვთ თავიანთი საქმიანობის შესრულების საშუალება. პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელი ეშლებათ. მოუწოდებთ დაპირისპირებულ მხარეებს ზედა სართულსაც და ქვედა სართულსაც, რომ გამოვიდნენ და ალიკვეთოს მაუწყებლობისთვის ხელის შეშლა. თითოეული დეტალის განხილვა ამ ეტაპზე გვიჭირს, რამდენად სამართლიანად აცოცდა ეროსი ღობეზე და რამდენად სწორად შეასრულა მამუკამ ყველა პირობა ეს არ ვიცით. ამას სასამართლო გაარკვევს. მთავარი მოთხოვნა არის, რომ მოლაპარაკება დაიწყოს შენობის გარეთ და განახლდეს მაუწყებლობა ნორმალურ რეჟიმში. — განაცხადა ნინო ზურიაშვილმა კოალიცია „მედია ადვოკატირებისთვის" წარმომადგენელმა.

გუშინ, 3 საათზე „მაესტროსთან" აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეებმა ტელევიზიის ოკუპირება კიდევ ერთხელ გააპროტესტეს.

— ტელევიზიის ტერიტორია უნდა გათავისუფლდეს. დავა, რომელიც არსებობს მართვის კომპანიასა და ტელეკომპანიას შორის უნდა გადაიჭრას ცივილიზებული გზით, სასამართლოში და არა ღობეზე გადაძრომით. — განაცხადა სოზარ სუბარმა.

როგორც გვიან გახდა ცნობილი ტელეკომპანია „მაესტროს" დამფუძნებლებსა და ტელევიზიის მართვის კომპანიის ხელმძღვანელ ეროსი კიწმარიშვილს შორის გარკვეულ საკითხებზე შეთანხმება შედგა.

ჟურნალისტებს, ტელეკომპანიის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ლევან ჩიკვაიძემ ეროსი კიწმარიშვილთან მოლაპარაკების დასრულების შემდეგ განუცხადა, რომ მოლაპარაკება რამდენიმე საკითხზე შედგა. საუბარია დაპირისპირებულ მხარეებს შორის სადავო იურიდული საკითხების გადაწყვეტაში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ჩართვაზე და მხარეებს შორის მოლაპარაკების დაწყებაზე.

# ხათუნა კალმახელიძეს პატიმრების წამების გამო საყვედურობენ

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დენს პაციენტზე. მან დაადგინა, რომ მახარაძის დაღუპვის პირდაპირი მიზეზი იყო საქართველოს ჯანდაცვის სისტემის გაუმართაობა. სტრასბურგის სასამართლომ დაგმო ის ფაქტი, რომ 2008 წლის მარტის თვიდან, როცა მეორე თაობის მკურნალობა შესაძლებელი გახდა სამოქალაქო სექტორის ორ დაწესებულებაში, მახარაძე არ იქნა გადაყვანილი გლდანის ციხიდან არც ერთ ამ დაწესებულებაში და სასიკვდილოდ იქნა განწირული. მან აგრეთვე დაადგინა, რომ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები მიიღეს და დახუჭეს რა თვალი მახარაძის საფუძვლიან არგუმენტებსა თუ სამედიცინო მტკიცებულებებზე, უარი განაცხადეს მისთვის სასჯელის გადავადებაზე, — განაცხადა წულუკიანმა.

ნიკო მახარაძე 2006 წლის დააკავეს, 2008 წელს კი ციხეში გარდაიცვალა. მსჯავრდებული 7 წლიან სასჯელს „კანონიერი ქურდობისთვის" და ნარკოტიკული დანაშაულისთვის იხდიდა.

ამ დღეებში კიდევ ერთი პატიმრის, მელორ ვაჩნაძის ავადმყოფობის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ ხათუნა კალმახელიძეს და სახალხო დამცველს გიორგი ტუღუშს მიმართეს თხოვნით, დაეხმარონ პოლიტპატიმარ მელორ ვაჩნაძეს.

მელორ ვაჩნაძის სისხლი ანალიტიკურ სადიაგნოსტიკო ცენტრში გამოიკვლიეს. სამედიცინო დასკვნის მიხედვით, სისხლში აღმოჩნდა ინფექცია, რომელმაც შესაძლოა, სეფსისი გამოიწვიოს.

ორგანიზაცია „არას" ლიდერის, ლევან ჩიტაძის განცხადებით, მელორ ვაჩნაძე საჭიროებს სრულ სამედიცინო გამოკვლევას. უნდა დადგინდეს ავადმყოფობის სიმძიმე და პატიმარს დაენიშნოს მკურნალობის კურსი, რითაც თავიდან ავიცილებთ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას.

— თქვენი მინისტრობის პერიოდში, უამრავი პატიმრის სიცოცხლე დასრულდა ლეტალური შედეგით. ამის მიზეზები სხვადასხვაგვარია: არაჰიგიენური გარემო, არაჯანსაღი საკვები, დიზენტერია, რაც ხდება სხვადასხვა მძიმე დაავადებების მიზეზი. შემდეგ კი პატიმრებს ყურადღებას დროულად არავინ აქცევს, რაც იწვევს დაავადების გართულებას და შემდგომ ლეტალურ შედეგებს. მსგავსი მაგალითების გათვალისწინებით, მოგიწოდებთ, უმოკლეს დროში მიიღოთ ზომები, რათა სასწრაფოდ დადგინდეს მელორ ვაჩნაძის ზუსტი დიაგნოზი და ჩაუტარდეს შესაბამისი მკურნალობა იმ დაწესებულებაში, რომლის პროფილის დიაგნოზიც იქნება დასმული, — ასე მიმართავენ არასამთავრობოები ხათუნა კალმახელიძეს.

— გთხოვთ, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში, უმოკლეს დროში მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება. როგორც უფლებადამცველებისათვის, ასევე თქვენთვის არაერთი მაგალითი და ფაქტია ცნობილი, რომ მსგავს შემთხვევებში ციხის თანამშრომლები უმეტესწილად უყურადღებობას იჩენენ, რაც პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესად გართულების მიზეზი ხდება, — ეს კი მოთხოვნაა გიორგი ტუღუშის მიმართ.

# მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს მუშაობაში ხელს უშლიან

თეა მარხვაიძე

უკვე მეორე დღეა მთელი ერი „მაესტროს" დასაცავად არის დარაზმული. რაც მისასალმებელი ფაქტია. კარგია, როცა ხალხი თავისუფალ სიტყვას იცავს. ურიგო არ იქნებოდა თუ ხალხი რეგიონული მედიის დასაცავადაც დაირაზმებოდა. მედიას საქართველოში ძალიან უჭირს, განსაკუთრებით შავ დღეში არიან რეგიონში მომუშავე ჟურნალისტები.

ადგილობრივი ჩინოვნიკები რეგიონული მედიის წინააღმდეგ ათასგვარ ხრიკებს მიმართავენ. უფლებათადამცველები მათთან დაკავშირებით ამაოდ გამოხატავენ პროტესტს.

მედიას საქართველოს არცერთ რეგიონში არ ულხინს. გამონაკლისი არც მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი აღმოჩნდა. ამ ცენტრმა სულ რამდენიმე თვეა, რაც დაიწყო მუშაობა და უკვე სერიოზული თავსატეხი გაუჩინა ადგილობრივ ხელისუფლებას. იმათაც რა ექნათ ადგნენ და ყველანაირად დაიწყეს ჟურნალისტების შევიწროვება.

ამ ფაქტებთან დაკავშირებით „ახალი თაობა" სისტემატიურად წერდა და ჩვენი მკითხველი ამ ამბებში მეტ-ნაკლებად არის გარკვეული. ახლა როგორც სჩანს ხელისუფლებამ საინფორმაციო ცენტრზე ზეწოლის ახალი მექანიზმი გამოიყენა. ახლა მათ დენს უთიშავენ.

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი „ენერგო პრო ჯორჯიას" დუშეთის სერვის – ცენტრს ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლაში ადანაშაულებს. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ენერგოსადისტრიბუციო კომპანია შენობას, სადაც მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის ოფისია განთავსებული, ელექტროენერგიას დილის 11:00-დან 18:00 საათამდე გაუფრთხილებლად უთიშავს.

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი გელა მთივლიშვილი არ გამორიცხავს, რომ „ენერგო პრო ჯორჯიას" დუშეთის სერვის-ცენტრი მათ ელექტროენერგიის მიწოდებას ადგილობრივი ხელისუფლების დავალებით უწყვეტს.

– მთელი დღის განმავლობაში შუქი რომ არ არის, ჟურნალისტები მომზადებული მასალების გამოქვეყნებას ვერ ახერხებენ, მასალები ძველდება და გამოუსადეგი ხდება. ამასთან, ამავე შენობაში ზოგიერთი ოჯახი ელექტროგამათბობლით თბება, უშუქობის გამო კი ისინი სიცივეში არიან, – აღნიშნა მთივლიშვილმა.

„ენერგო პრო ჯორჯიას" დუშეთის სერვის-ცენტრის მენეჯერის მერაბ რევაზიშვილის განცხადებით, დუშეთში ელექტროსადენების შეცვლა მიმდინარეობს და ელექტროენერგიის შეწყვეტა ამას უკავშირდება. არადა, მეზობელ შენობებს ელექტროენერგია მიეწოდება.

ენერგოომბუდსმენის ვალერი ფხაკაძის განმარტებით, ენერგოსადისტრიბუციო კომპანია ვალდებულია, თუ ელექტროენერგიის შეწყვეტა ფორს-მაჟორულ პირობებს არ უკავშირდება, მომხმარებელს წერილობით, ტელეფონით ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებით აცნობოს.

– სემეკ-ის დადგენილებაში ეს ნორმა პირდაპირ არის გაწერილი. თუ კომპანია ამ ვალდებულებას არ ასრულებს, უნდა მიმართოთ სემეკს, თუ დაზარალდით, მაშინ სასამართლოს, – აღნიშნა ფხაკაძემ.

„ენერგო პრო ჯორჯიას" დუშეთის სერვის-ცენტრის მენეჯერის მერაბ რევაზიშვილის თქმით, დუშეთში ტელევიზია არ არის და მოსახლეობას ვერ აცნობებენ. სინამდვილეში, დუშეთში ადგილობრივი ტელევიზია მუშაობს, რომელიც გამგეობის შენობაშია განთავსებული. ტელევიზიას მორბენალი სტრიქონიც აქვს.

ზეწოლრბზე საინფორმაციო ცენტრი მისი დაარსების დღიდან ჩივის. ამასტან დაკავშირებით ერთ-ერთი პირველი განცხადება მათ ივლისის თვეში გააკეთეს.სადაც ნათქვამი იყო, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტი მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლებზე ზეწოლას ახდენს. მათ მიმართეს არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებს , სახალხო დამცველის აპარატს ყურადღებით მოეკიდონ ჟურნალისტებზე ზეწოლის თითოეულ ფაქტს და სათანადო რეაგირება მოახდინონ.



გელა მთივლიშვილი

– მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრში რამდენიმე ადამიანია დასაქმებული, მათ შორის კონკურსის წესით შერჩეული ჟურნალისტი და მძღოლი, რომლებიც დუშეთში ცხოვრობენ. ორივე მათგანს, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით დაემუქრნენ, რომ მედიაორგანიზაციასთან თანამშრომლობის გაგრძელების შემთხვევაში, მათი ოჯახის წევრებს სერიოზული პრობლემები შეექმნებათ. მძღოლმა ხელშეკრულების გაფორმების მეორე დღესვე მუშაობის გაგრძელებაზე უარი თქვა. ასევე, რამდენიმე დღის შემდეგ მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრთან თანამშრომლობაზე უარი თქვა ჟურნალისტმა. მისი განმარტებით, რაიონის პირველი პირების სახელით შეუთვალეს, რომ მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ჩამოშორებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დედამისს, რომელიც კერძო საწარმოშია დასაქმებული, პრობლემებს შეუქმნიდნენ, – აღნიშნულია განცხადებაში.მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი ფონდ „ღია საზოგადოება–საქართველოს"მხარდაჭერით დაფუძნდა, რომლის მიზანია რეგიონში არსებულ სიტუაციაზე პროფესიული სტანდარტების დაცვით ჟურნალისტური მასალების მომზადება და ინტერნეტ-გამოცემაში განთავსება. ვებ-გვერდის ამოქმედებამდე საინფორმაციო ცენტრი ახალ ამბებს და სტატიებს მცხეთა-მთიანეთის შესახებ აქვეყნებს სოციალურ ქსელ ფესისბიქში გახსნილი გვერდის საშუალებით. ორგანიზაციამ დუშეთში ოფისი დაიქირავა და მუშაობა ივნისიდან დაიწყო. ამ მცირე ხნის მანძილზე, მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრმა მოამზადა ათობით მასალა იმის შესახებ თუ როგორ ცხოვრობენ რეგიონში ადამიანები. მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის მასალებზე დაყრდნობით ინფორმაცია გავრცელდა ნაციონალურ ტელევიზიებში, გაზეთებსა და საინფორმაციო სააგენტოებში.

მათ მხარდასაჭერად არაერთი განცხადება გაკეთდა. ხელისუფლებას ტრადიციულად ხმაც კი არ ამოუღია. შესაბამისად საინფორმაციო ცენტრის მიმართ ზეწოლა არ შენელებულა.

პირიქით, მან ყფრო მწვავე სახე მიიღო. ჟურნალისტებს ხან მუქარა შეუთვალეს, ხან გალანძღეს, საკრებულოს ზოგიერთმა წევრმა მათ ბოიკოტიც გამოუცხადა, ახლა დენსაც უთიშავენ.

არადა რამდენიმე თვის წინ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭომ ხელისუფლებას სთხოვა რეაგირება მოახდინოს საქართველოს რეგიონებში ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტებზე.

ხელისუფლებას როგორც უკვე ავღნიშნეთ, არანაირი რეაგირება არ მოუხდენია. და პირიქით, ჟურნალისტებზე ახალ-ახალი ზეწოლის ფაქტებს აქვს ადგილი. ამიტომაც კარგი იქნება თუ საზოგადოება რეგიონული მედიის დასაცავადაც ამოიღებს ხმას.

# აზერბაიჯანი თავდაჯერებულად მიაბიჯებს ახალი სიმაღლეებისკენ დემოკრატიისა და პროგრესის გზით

20 წელი – არ არის დიდი პერიოდი ისტორიული თვალსაზრისით. აზერბაიჯანის რესპუბლიკა ისევე, როგორც მისი სტრატეგიული პარტნიორი – საქართველო, ამ წელს აღნიშნავს თავისი დამოუკიდებლობის 20 წლისთავს. განვლილი პერიოდი წარმოადგენს დაუვიწყარსა და თვისობრივს როგორც აზერბაიჯანისათვის, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებისთვისაც. XX საუკუნის დასასრულს რუსეთის იმპერიამ გამოიყენა რა თავისი არმია ხალხის საწინააღმდეგოდ, რომლებიც იბრძოდნენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, გაუხსნა ცეცხლი უდანაშაულო ხალხს, რის შედეგადაც შექმნა დაუვიწყარი ტრაგედიები – თბილისში 9 აპრილს, ხოლო ბაქოში 20 იანვარს, მაგრამ ამან გზიდან ვერ გადაახვევინა მშვიდობისმოყვარე ხალხს და აზერბაიჯანმა, როგორც ბევრმა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ, მიაღწია საკუთარი დამოუკიდებლობის აღდგენას. იმპერიამ, რომელიც არ თმობდა საკუთარ ბინძურ პოლიტიკას, გამოიყენა ყველა შესაძლებლობა ქვეყნის გასანადგურებლად, ცდილობდა აზერბაიჯანის ჩამოცილებას თავისუფლების გზიდან. ტერიტორიულმა პრეტენზიებმა, შიდა განხეთქილებამ, მოუქნელმა ხელმძღვანელობამ, არასწორი პოლიტიკის განხორციელებამ საერთაშორისო ურთიერთობებში აზერბაიჯანისთვის შექმნა საშიშროება გამხდარიყო რომელიმე ზეხელისუფლების სატელიტი. გასული საუკუნის 90-იანი წლები აზერბაიჯანისთვის ხასიათდება აღნიშნული მოვლენებით.

ამ უმძიმეს დროს ხალხმა მიმართა თავის განმათავისუფლებელს – ჰეიდარ ალიევს. ხელისუფლებაში ხელახალი დაბრუნების შემდეგ, თავისი ერის თხოვნით, ჰეიდარ ალიევმა დროის უმოკლეს პერიოდში შეძლო ქვეყნის პოლიტიკური კრიზისიდან და ეროვნული ტრაგედიიდან გათავისუფლება, მიაღწია ქვეყანაში სტაბილურობას, ხელი მოაწერა „საუკუნის ხელშეკრულებას", გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები „აბრეშუმის გზის" აღსადგენად. ჰეიდარ ალიევი აცხადებდა რა „ჩემი ცხოვრების დარჩენილ ნაწილს მე ვუძღვნი ჩემს ხალხს" აღწევდა აზერბაიჯანის შეუქცევად დამოუკიდებლობას, მან შექმნა მტკიცე საფუძველი მისი მარადისობისთვის, უმოკლეს დროში მიიქცია მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა ყურადღება, შექმნა გლობალური პროექტები და მიუხედავად მუქარებისა და შეთქმულებებისა, მიაღწია მათ განხორციელებას თავისი მეგობარი ქვეყნის – საქართველოს ტერიტორიების საშუალებით, აზერბაიჯანის ავტორიტეტის გაზრდას საერთაშორისო არენაზე. დიდი ბელადის ოცნებები დღეს მიმართულებებს პოულობს მისი საქმეების ღირსეული გამგრძელებლის – ილჰამ ალიევის პოლიტიკურ კურსში. მისი შორსმჭვრეტელი ხელმძღვანელობით აზერბაიჯანი თავდაჯერებულად მიაბიჯებს დემოკრატიისა და პროგრესის გზით, აღწევს სულ ახალ და ახალ წარმატებებს დინამიკური, სოციალურ-პოლიტიკური განვითარების გზაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, დგამს მტკიცე ნაბიჯებს პროგრესული რეფორმების განხორციელებაში. ამა წლის პირველ ნახევარში აზერბაიჯანის ბიუჯეტმა პირველად მიაღწია 20 მლრდ დოლარს, ხოლო ქვეყნის სავალუტო დანაზოგი შეადგენს 40 მლრდ დოლარს – 4-ჯერ მეტს, ვიდრე საზღვარგარეთული ვალები.

ბოლო 10 წლის განმავლობაში მოსახლეობის მოგება გაიზარდა 6,3-ჯერ, სიღარიბის დონემ დაიწია 9,1%-მდე. წლიდან წლამდე საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდა 350 მანათამდე (დაახლოებით 430 დოლარი), ბოლო 7 წლის განმავლობაში შეიქმნა 980 ათასი ახალი სამუშაო ადგილი. მიუხედავად ფინანსური კრიზისისა, რომელიც არსებობს მთელ მსოფლიოში, პენსიები 40%-ით გაიზარდა.

დიდი ყურადღება ექცევა განათლებისა და მეცნიერების სფეროს. ამის დასტურია ნაციონალური სტრატეგიის პროგრამის წარმატებით განხორციელება, რომელიც ეხება მეცნიერებას 2009-2015 წლებში.

იზრდება მთავრობის მხარდაჭერა განათლების სფეროს მუშაკების სოციალური დაცვის საქმეში, ინერგება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ეს ყველაფერი არის პრიორიტეტული საკითხები, იდგმება სერიოზული ნაბიჯები ქვეყნის ინტეგრაციისთვის გლობალურ სისტემაში.

მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, დიდი ტემპებით ვითარდება სანავთობო და სხვა სექტორები. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აზრით, ეკონომიკური განვითარების კუთხით აზერბაიჯანს მსოფლიოში 55-ე, ხოლო დსთ-ს ქვეყნებში პირველი ადგილი უკავია. ახალი ნავთობისა და გაზმომპოვებელი ადგილების აღმოჩენამ ხელი შეუწყო აზერბაიჯანის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას არსებულ პროდუქციაზე უახლოესი 100 წლის განმავლობაში.

წარმატებით ვითარდება აგრარული სფერო. 2011 წელს ქვეყანაში 500 ათასი ტონით მეტი ხორბალი და ქერი მოიყვანეს, ვიდრე გასულ წელს. თუ გასულ წელს ქვეყანაში აწარმოეს 1.8 მლნ ტონა ხორბალი, წელს ეს მაჩვენებელი 2,3 მლნ ტონაა. ხოლო ხილის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანამ ამ წელს ბევრად გადააჭარბა გასული წლების მაჩვენებლებს.

ეს მაჩვენებლები შესაძლოა უფრო მაღალიც ყოფილიყო, მაგრამ როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში ამას ხელი ტერიტორიულმა კონფლიქტმა შეუშალა. იმედი ვიქონიოთ, რომ პრეზიდენტების მ.სააკაშვილისა და ი.ალიევის შემდგომი პოლიტიკა უახლოეს მომავალში გადაჭრის ამ ტერიტორიული მთლიანობის საკითხებს ორივე სახელმწიფოში და სამართლიანობა იზეიმებს.

ერთი სიტყვით, აზერბაიჯანი მტკიცედ მიაბიჯებს განვითარების დაჩქარების გზაზე, იმაღლებს დემოკრატიული, სტაბილური და საიმედო პარტნიორის იმიჯს. ამის ნათელი დასტურია ბაქოში ბოლო წლებში ჩატარებული მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიებები, ქვეყნის არჩევა გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრად და ა.შ.

**ი.ალიევი**

შედით საიტზე atb.ge



# რატომ არ სწყალობს ხელისუფლება გაზეთებს

თამარ ნინიძე

ხელისუფლებამ დამოუკიდებელ მედიაზე ახალი შეტევა წამოიწყო. რამდენიმე წლის წინ ძლივს მოხერხდა შეთანხმება, რომ პრესა გადასახადებისგან სრულად თუ არა ნაწილობრივ მაინც განთავისუფლებულიყო, მორატორიუმი დაწესდა და საზოგადოებრივი რეაქციის სიმძაფრის გამო ნაციონალები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ახალი იერიში ბეჭდური მედიის გავრცელებას ზღუდავს, მმართველი გუნდის მიერ ვითომდა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ე.წ. ღონისძიებების შირმის უკან მზაკვრული გეგმა იმალება. პლანეტა ფორტეს, მაცნესა და ელვა სერვისის ჯიხურების ნაცვლად, მერია თავის ჯიხურებს ჩადგამს და თავის კონტროლირებად პრესას გაყიდის, გასულ წელს უგულავას მიერ კონტროლირებადი ჯიხურების ჩადგმის მცდელობა ხელისუფლებისთვის წარმატებით დასრულდა. ისედაც შეზღუდული საშუალებებით გავრცელებულ პრესას ახალი წნეხის ქვეშ მოსაქცევად იმეტებენ.

სააკაშვილს რომ გაზეთების კითხვა არ უყვარს, ეს ახალი ამბავი არ არის, ვარდების რევოლუციიდან ცოტა ხანშივე მან აღიარა, რომ ქართული პრესა მისი აზრით დაბალი დონის არის და გაზეთებს არ კითხულობს, სინამდვილეში მიხეილს კრიტიკა არ უყვარს და პრესა მწარედ რომ აკრიტიკებდა, ამიტომაც მოიძულა. მალევე, ამ „დემოკრატიული" აღიარებიდან, პრესამ პირველად იწვნია სუსხიანი დამოკიდებულება საკუთარ თავზე. პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაშინდელმა უფროსმა გიორგი არველაძემ პრესას კანცელარიაში შეზღუდვები დაუწესა. ამიერიდან მესამე სართულზე მხოლოდ სპეცსაშვებით ივლიან ჟურნალისტებიო, ბრძანა. ამ სუსხს კიდევ უფრო უარყოფითი და შეურაცხმყოფელი, აგდებული დამოკიდებულება მოჰყვა ბოკერიასა და ნადირაძისგან. დღენიადაგ გაისმოდა მათგან არა კრიტიკა, რომელსაც როგორმე გავუძლებდით, არამედ შეურაცხყოფა, თავდასხმები, ლანძღვა და დამალვა. დიახ, გვემალებიან პრესცენტრები, რომლებიც, უნდა ვაღიაროთ, შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს (თვით შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამინისტროსი) გამართულად მუშაობდნენ და გახსნილ რეჟიმში იმყოფებოდნენ ჟურნალისტებთან, ახლა მათი მუშაობა კრიტიკასაც ვერ უძლებს. ინფორმაციის გამოტანაზე აღარ არის საუბარი, სახელმწიფოს საიდუმლო ინფორმაციას ხომ არ ვითხოვთ, გვამადლიან ყოველი ახალი ცნობის გავრცელებას, ავრცელებენ მხოლოდ იმ კატეგორიის ინფორმაციას, რომელსაც ზემოდან ნებართვის მიღების შემდეგ აწვდიან ნაციონალურ არხებს. პრესა საწყალი ნათესავივით არის, ნარჩენებით იკვებება.

არჩევნების წინ კუდის მოქნევა ხელისუფლების მხრიდან იმას ნიშნავს, მე თუ წავედი, თქვენც თან გაგიყოლებთო. საზოგადოება და ბეჭდური მედია ახლაც ერთიანი ფრონტით ცდილობს მოიგერიოს თავდასხმის ახალი ტალღა და იმედია, ამ შემთხვევაშიც დათმობა და უკან დახევა არ იქნება.

# რუსეთი შეიარაღებათა დოლში არ ებმება

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე

***— ბატონო ნოდარ, რუსეთმა რაღაცნაირად შეძლო გამოსულიყო იმ მდგომარეობიდან, რაც მას საერთაშორისო ასპარეზზე აგვისტოს ომმა შეუქმნა, მნიშვნელოვანი განცხადებების გაკეთება დაიწყო და ამით დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ მთავარ მოთამაშედ წარმოსდგება?***

— ასე არ არის. დღეს რუსეთი მსოფლიოს წინაძე ძალიან კრიტიკულ მდგომარეობაშია. ამიტომ ყველაფერზე მიდის, ოღონდ ამ კრიტიკული მდგომარეობიდან გამოძვრეს.

***— რა თვალსაზრისით არის რუსეთი კრიტიკულ მდგომარეობაში?***

— რუსეთმა ცნო ტერიტორიები, რომელიც მსოფლიომ არ ცნო და არც არასოდეს ცნობს. ე.ი. ამით რუსეთი, როგორც მსოფლიოს თანამმართველი ძალა გაბითურებულია.

***— რუსეთმა ეს კრიზისი არ გადალახა?***

— საიდან არ ჩანს, რომ რუსეთმა კრიზისი გადალახა. რუსეთი რასაც ფახი-ფუხობს დღეს, ყველაფერი განკუთვნილია შინაგანი მართვისთვის, ანუ თავისი მოქალაქისთვის.

***— შეიძლება, მაგრამ რუსეთი აე ერიდება და განცხადებებს აკეთებს ნატოს გაფართოებისა თუ ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ევროპაში განთავსების წინააღმდეგ მაშინ, როცა ამერიკამ საკმაოდ რთულ ვითარებაში ურთიერთობების გადატვირთვა დაიწყო.***

— ასეთი განცხადებები კეთდება ორ წელიწადში ერთკჯერ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რეალობაა. იმის საპასუხოდ, დასავლეთი ალაგებს რაკეტსაწინარმდეგო თავდაცვის რაკეთებს შავი ზღის ნაპირებზე, კერძოდ, რუმინეთსა და ბულგარეთში, რაც ნიშნავს ფლოტის შემოსვლასაც (რადგან ეს იარაღი განკუთვნილია სახმელეთო ბაზირებისთვისაც და საზღვაო ბაზირებისთვის) რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი აცხადებს, ჩვენ განვალაგებთ ისკანდერებს (რომელიც თანამედროვე რუსულ რაკეტებში ყველაზე თანამედროვე რაკეტებია) კალინინგრადში, ანუ გერმანულ ქალაქ კენისბერგში. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს გამოწვევას ცივი ომისათვის, ანუ შეიარაღებათა შეჯიბრისთვის ე.წ. შეიარაღებათა დოღისათვის. ცივი ომი და შეიარაღებათა დოღი, ეს ისაა, რაც დსასავლეთის ეკონომიკას სწყურია. დასავლეთმა საბჭოთა კავშირი შეიარაღებათა დოღით დაანგრია. დასავლეთის ეკონომიკისთვის ეს არის სტიმულატორი. რუსეთის ეკონომიკისთვის კი — ცარიელი, უნაყოფო ხარჯი.

***— თუ ასეა, მაშინ რუსეთი რატომ ებმება სუპერსახელმწიფოებთან შეიარაღებათა დოღში?***

— რუსეთი არ ებმება შეიარაღებათა დოღში, არამედ ვანკას ატყუებს. რუსეთი ამაზე რომ წავიდეს, მაშინ 40 წელი კი არ გაგრძელდება მისი დანგრევა, როგორც საბჭოთა კავშირის ნგრევა გაგრძელდა, არამედ — 5-6 წელიწადს. მაშინ რუსეთი საერთოდ დაიშლება. ის ამაზე ვერასოდეს წავა.

***— 40 წელიწადში განსაზღვრულია რუსეთის დანგრევა?***

— 1949 წლიდან დაიწყო დალესის პროგრამის განხორციელება. 40-წლიანი პროგრამა იყო. როცა ამ პროგრამის დამთავრებას 9 დღე აკლდა, მაშინ დაიშალა საბჭოთა კავშირი — ბელოვეჟიაში შეიკრიბნენ და გაფორმდა საბჭოთა კავშირის დაშლა.

***— ახლა ასე რუსეთის თანდათანობითი დაშლის გეგმაა ამოქმედებული?***


ნოდარ ნათაძე

— ახლა ასეთი გეგმა არ არის, რადგან არავინ ფიქრობს, რომ რუსეთი ისევ ჩაებმება შეიარაღებათა დოლში. თუ რუსეთი შეიარაღებათა დოლში ჩაება, ეს გეგმა ავტომატურად ამუშავდება. ამას ხაზვა, ჩურჩული, გადარეკვა და გადმორეკვა არ სჭირდება. ასეთი გეგმა ავტომატურად ამუშავდება. ეს გეგმა კი არა, არამედ ობიექტური კანონზომიერებაა. აშშ-ის შიდა პროდუქტის ღირებულება შეადგენს 12, 5 ტრილიონ დოლარს წელიწადში, ევროპისა — 13, 5 ტრილიონს, რუსეთის კი — 2,5 ტრილიონს. ე.ი. 10-ჯერ მეტად აღემატებიან. არმიის განვითარების დონე რომ შეუდარებლად მაღალია, ეს ვიცით, ტექნოლოგიური განსხვავება კი არ მცირდება, არამედ იზრდება, დაახლოებით 30 წელში. ამიტომ არანაირი შანსი არ აქვს რუსეთს, შეიარაღებათა დოლში მოიგოს. თუკი ეს დოლი შედგა.

***— ეკონომიკური კრიზისი ამერიკასაც ხომ ეხება?***

— ეხება, მაგრამ ზედაპირულად. რეალური ტვინი, რომელიც მართავს დასავლეთს, იდეოლოგიურსა და პროპაგანდის დონეზე ლიად ქადაგებს მონეტარისტულ ეკონომიკას, ანუ ისეთ ეკონომიკას, რომელიც ამბობს, ოღონდ ფული იყოს და სულერთია, საიდან შემოვა, მეტალურგიიდან თუ სუნამოს წარმოებიდან. სინამდვილეში კი მათ ფიზიკანისტურ ეკონომიკაზე აქვთ ორიენტაცია, ანუ ეკონომიკაზე, რომელიც ორიენტირებულია თვითონ წარმოების ძალაზე და არა შემოსავალზე. ამერიკის ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში დამყარებულია იმაზე, რომ მას აქვს ისეთი საწარმოო სიმძლავრე (ამაში შედის მრეწველობაც და სოფლის მეურნეობაც), რომელსაც ვერავინ ეტოქება. ახლა ამ კრიზისის ფონზე ამერიკელებმა არაბულ ქვეყნებთან (ნავთობის ქვეყნებთან) დადეს 50 ბოინგის მიყიდვის ხელშეკრულება. ეს სიმპტომია. ე.ი. საავიაციო ბაზარში რუსეთი ცხვირს ვერსად ყოფს. ეს არის საზომი. ტრილიონებს წააგებენ თუ არა, დიდი მნიშვნელობა არ აქვს — დაზგა აქვთ და იმდენს დაბეჭდავენ, რამდენიც უნდათ. რასაც დაბეჭდავენ, ის სიცოცხლისუნარიანი იქნება თუ არა, ეს დამოკიდებულია მათი წარმოების დონეზე და არა მათი ბანკების მდგომარეობაზე.

***— ე.ი. თვითონ რუსეთის რეალური გეგმები ლიდერობის თაობაზე, მეორე პლანზე გადაიწია?***

— რეალური გეგმები ნიშნავს, გეგმებს, რომელიც ეხება რუსეთის ადგილს მსოფლიოში. რუსეთს არ უნდა ლიდერობა მსოფლიოში. ის თამაშობს. რუსეთი, როგორც მსოფლიო მოთამაშე, გადავლილია უკვე თავის უღელტეხილზე. ეს უღელტეხილი რუსეთმა სტალინის ხელში გადაიარა.

***— ანუ მაქსიმალური დონე, რა დონეზეც შეიძლებოდა ასულიყო, ავიდა და ახლა ქვემოთ ეშვება?***

— დიახ, ახლა უკვე იქით მხარეს ეშვება. ამიტომ რუსეთის მაქსიმალური პრეტენზია, რაც მას დღეს მსოფლიოში აქვს, ეს არის კონსერვატიული, შეტევითი აღარ არის. მას უნდა, რომ დასავლეთი არ შემოუშვას კონკრეტულად შუა აზიისკენ. რუსეთს უნდა ჩინეთთან ისეთი კომუნიკაცია დაურჩეს, რომელსაც დასავლეთი ვერ შეეხება. დასავლეთი შუა აზიაში რომ იქნება, მაშინ ჩინეთისა და რუსეთის კომუნიკაციას ის გააკონტროლებს. თუ დასავლეთი არ იქნება შუა აზიაში, მაშინ მესამე მსოფლიო ომის ფრონტი ან რჩება კასპიის ზღვაზე, ან გადმოდის შავ ზღვაზე. რუსეთს უნდა ამ გზის ჩაკეტვა. ეს მისი კონსერვატიული ამოცანაა. მისი პროგრამა-მაქსიმუმი ეს არის. ამას რუსეთი ვერ მიაღწევს, რა თქმა უნდა იმიტომ, რომ გლობალიზაციის პროცესი მიდის და ტექნიკაც ვითარდება.

***— შუა აზიისკენ დასავლეთისთვის გზის ჩაკეტვაზე საუბრისას ალბათ უნდა გავიხსენოთ ახლახანს გახმაურებული რუსეთის გეგმა ევრაზიული კავშირის შექმნის თაობაზე, რომელშიც თურქეთსაც კი ეპატიჟება. თქვენი აზრით, ასეთ კავშირს რუსეთი ვერ ჩამოაყალიბებს?***

— ეს რუსეთს არ გამოუვა. თურქეთთან დაკავშირებით კი გავიხსენებ, 2008 წლის ომის შემდეგ, 2009 წლის იანვარში სამი კაცის ავტორობით თურქი პოლიტოლოგების გამოშვებულ წიგნს „ასეტინსკაია ვაინა", რომელიც ძირითადად იდეოლოგიური წიგნია. ბევრი ტყუილები წერია, მაგრამ ბოლოში მათთვის ყველაზე სასურველი სცენარია წარმოდგენილი: ამერიკა უარს ამბობს კავკასიის საქმეებში ჩარევაზე. პასუხისმგებლობას კავკასიაზე იღებს რუსეთი, თურქეთი და ირანი. ე.ი. პასუხიემგებლობას იღებენ რუსეთი, ირანი და თურქეთი კი არა, არამედ რუსეთი, თურქეთი და ირანი. აი, რას სთავაზობენ თურქები რუსებს. ევრაზიული გაერთიანების შექმნის გეგმა რომ შესრულდეს, მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ ამის სურვილი. ე.ი. თურქეთმაც, აზერბაიჯანმაც, უზბეკეთმაც და ყირგიზეთმაც უნდა მოინდომონ, ზურგი აქციონ დასავლეთს და ჩაერთონ ამ რუსულ გაერთიანებაში. ამისთვის ორი პირობაა აუცილებელი. ჯერ ერთი, მათ უნდა სჯეროდეთ, რომ აღნიშნული გაერთიანება იქნება მოგებისუნარიანი. ეს დღეს ბავშვსაც აღარ სჯერა დედამიწაზე. მეორე — მათთვის ეს ხელსაყრელი უნდა იყოს პრაქტიკულად, ანუ მან რუსეთიდან უკეთესი საქონელი უნდა შეიტანოს, ვიდრე დასავლეთიდან, რუსეთის ბაზარი უნდა ერჩივნოს დასავლეთის ბაზარს. ასეთი პირობები არ არსებობს და არც არასოდეს იარსებებს. რუსეთი არაკონკურენტუნარიანია. ამიტომ თავისი ნებით, რუსეთის არც ეკონომიკურ კავშირში და არც, მით უმეტეს, სამხედრო კავშირში არავინ შევა. ამ გეგმას რუსეთის ხელისუფლება ვერ განახორციელებს, მაგრამ სიმულიანტობს იმისთვის, რომ მოატყუოს რუსეთში საშუალოდ ნასწავლი კაციც კი.

# ზღულაძე საქართველოში კორუფციის დაბალი დონით ამაყობს

შალვა ჯოხაძე

კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, წელს საქართველომ 182 ქვეყანას შორის 64-ე ადგილი დაიკავა და 10 მაქსიმალური ქულიდან 4.1 ქულა მიიღო. თურმე, საქართველოს შედეგი ევროკავშირის რამდენიმე წევრი ქვეყნის შედეგზე უკეთესია. სლოვაკეთმა, იტალიამ, საბერძნეთმა, რუმინეთმა და ბულგარეთმა უფრო დაბალი ქულები მიიღეს. ბუნებრივია, ასეთ პოზიტიურ ინფორმაციას ხელისუფლების მხრიდან ასეთივე დადებითი კომენტარი მოჰყვა. ეს კომენტარი არც მეტი, არც ნაკლები, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ეკა ზღულაძემ გააკეთა. ზღულაძე საქართვლოში არსებული კორუფციის დაბალი დონით კმაყოფილი და ამაყი ჩანს.

ზღულაძის თქმით, კორუფციის ინდექსის მიხედვით საქართველოს დაწინაურება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების დამსახურებაა.

**ეკა ზღულაძე:**

— საქართველოს მთავრობამ წელს რამდენიმე ახალი ინიციატივა დანერგა, მათ შორის, პირველ რიგში ელექტრონული შესყიდვები, რომელიც თავისთავად სახელმწიფო რესურსების ხარჯვის ძალიან გამჭვირვალე მიდგომაა. ეს ადეკვატურად შეაფასეს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივმა ორგანიზაციებმა. ასევე, საქართველოს დაწინაურების მიზეზია, რომ შენარჩუნდა ყველა სხვა ღონისძიება. ამან განაპირობა, რომ საქართველო არის იმ ხუთ ქვეყანას შორის, რომელმაც ერთ წელიწადში ყველაზე დიდი პროგრესი აჩვენა კორუფციასთან ბრძოლაში. საქართველო ასევე ოთხი ადგილით დაწინაურდა შარშანდელთან შედარებით და გაუთანაბრდა ბევრ ევროპულ ქვეყანას და გაუსწრო ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა საბერძნეთი, იტალია,


ეკა ზღულაძე

სლოვაკეთი და ხორვატიასაც კი, რომელსაც ძალიან კარგი მაჩვენებლები აქვს და უახლოეს მომავალში გახდება ევროკავშირის წევრი.

ინფორმაცია კორუფციის აღქმის ინდექსის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობამ" გაავრცელა.

– 2011 წლის კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, საქართველომ 182 ქვეყანას შორის 64-ე ადგილი დაიკავა. ამ ბოლო რანგირების მიხედვით, რომელიც საჯარო სექტორში კორუფციის აღქმის დონეს განსაზღვრავს, საქართველომ 10-ბალიან სკალაზე (10 ქულა ძალიან სუფთას აღნიშნავს, ხოლო 0 ქულა — ძალიან კორუმპირებულს) 4.1 ქულა მიიღო. 2010 წელს საქართველოს ქულა 3.8 იყო და 178 ქვეყანას შორის 68-ე ადგილი ეკავა, — აცხადებენ ორგანიზაციაში.

**ეკა გიგაური** („საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი):

— გასულ წელს საქართველოში წარმატებით დაინერგა ელექტრონული, გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, რაც დადებითად შეიძლება შეფასდეს. ძალიან კარგია, რომ მთავრობა მოქალაქეებისთვის ონლაინ რეჟიმში აქვეყნებს და ხელმისაწვდომს ხდის სხვადასხვა მონაცემებს და ხელს უწყობს ელექტრონული მმართველობის დამკვიდრებას. ჩვენ მოვუწოდებთ მთავრობას, ეს ძალისხმევა კიდევ უფრო ინტენსიური გახადოს, განსაკუთრებით იმ სახელმწიფო უწყებებთან მიმართებაში, რომლებიც ნაკლებად გამჭვირვალედ მიიჩნევა.

2011 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსი" აჩვენებს, რომ კორუფციის აღქმის დონე საქართველოში უფრო დაბალია, ვიდრე ევროკავშირის წევრ რამდენიმე ქვეყანაში, როგორიცაა სლოვაკეთი, იტალია, საბერძნეთი, რუმინეთი და ბულგარეთი. საქართველოში კორუფციის აღქმის დონე ასევე უფრო დაბალია, ვიდრე ხორვატიაში, რომელიც სულ მალე ევროკავშირის შემდეგი წევრი ქვეყანა გახდება, და ბალკანეთის სხვა ქვეყნებში. თურქეთი 61-ე ადგილზეა (4.1 ქულით) და, შესაბამისად, საქართველოზე ოდნავ მაღლა დგას. საქართველოს სხვა მეზობელ ქვეყნებში კორუფციის აღქმის დონე ბევრად უფრო მაღალია: სომხეთი 129-ე ადგილზეა (2.6 ქულით), რუსეთი და აზერბაიჯანი კი 143-ე ადგილს ინაწილებენ (2.4 ქულით).

კორუფციის აღქმის ყველაზე დაბალი დონე აქვთ ახალ ზელანდიას, დანიას, ფინეთს, შვედეთსა და სინგაპურს. რანგირებაში ბოლო ადგილები დაიკავეს უზბეკეთმა, ავღანეთმა, მიანმარმა, ჩრდილოეთ კორეამ და სომალიმ.

ამ წინსვლის მიუხედავად, აუცილებელია განსაკუთრებული ქმედებების განხორციელება საქართველოს მთლიანი ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის გასაუმჯობესებლად.

— ჩვენ მიერ ბოლო დროს გამოქვეყნებული „ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზი" აჩვენებს, რომ საქართველოში მმართველობის სისტემის დაბალანსება ჯერ კიდევ სუსტია. სასამართლო ხელისუფლება, მედია, სამოქალაქო საზოგადოება და ოპოზიციური პარტიები ვერ ახერხებენ მთავრობაში კონცენტრირებული ძალაუფლების დაბალანსებას. აღმასრულებელი შტო დიდწილად შემაკავებელი ძალის გარეშეა დარჩენილი, რადგან მმართველი პარტია პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით არის წარმოდგენილი, — აღნიშნავს გიგაური.

იმ სექტორებში, რომლებიც 2011 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსმა" მოიცვა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო" მთავრობას მოუწოდებს შემდეგ საკითხებზე მოახდინოს ფოკუსირება: გააძლიეროს პარლამენტის როლი საქართველოს მმართველობის დაბალანსებული სისტემის განვითარებისთვის. ყველა პოლიტიკურ თანაბარი პირობები უნდა მიეცეს 2012 წლის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად; უნდა გაგრძელდეს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა, რადგან სასამართლო უფრო დამოუკიდებელი გახდეს. საპროცესო გარიგების სისტემა უნდა იყოს უფრო გამჭვირვალე. კანონის წინაშე ყველა თანაბარი უნდა იყოს და არ უნდა მოქმედებდეს შერჩევითი სამართლი;

ელექტრონული მმართველობა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს. უნდა მოხდეს ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება ონლაინ რეჟიმში, რადგან მედიას, სამოქალაქო საზოგადოებას, განსაკუთრებით რეგიონებში ხელი მიუწვდებოდეს მათთვის საინტერესო და საჭირო ინფორმაციაზე; მთავრობა არანაირი სახით არ უნდა ერეოდეს მედია სექტორის საქმიანობაში.

## მელორ ვაჩნაძე გლდანის №18 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაიყვანეს

მოძრაობა ,,არა!“-ს ხელმძღვანელის ლევან ჩიტაძის განცხადებით, პატიმარი მელორ ვაჩნაძე დღეს დილით რუსთავის №17 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან, გლდანის №18 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც ე.წ. ,,რეზბალნიცა“ მდებარეობს და სადაც მის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოიკვლევენ.

როგორც ლევან ჩიტაძემ ,,მედიანიუსს“ აცნობა, მას შემდეგ, რაც მელორ ვაჩნაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მათ ინფორმაცია საზოგადოებას მიაწოდეს, ხელისუფლებამ მისი „საქმე ჩაკეტა“.

,,ჩვენ მიერ ვაჩნაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გაკეთებული განცხადების შემდეგ და მას შემდეგ, რაც ჩვენ სახალხო დამცველს მივმართეთ, დაინტერესებულიყო პოლიტპატიმარ მელორ ვაჩნაძის ჯანმრთელობის მდგომარეობით, მისი საქმე ჩაიკეტა. მელორ ვაჩნაძის მონახულება ვერ შეძლო მისმა ადვოკატმა ჯუმბერ მილორავამ, მასთან ასევე არ შეუშვეს გელა ნიკოლეიშვილი. ვერ ხერხდებოდა მასთან სატელეფონო კავშირი. ჩვენი განცხადებიდან ერთი კვირის შემდეგ, მისი გლდანის №18 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაყვანა მოხდა და იმედია, იქ მის ჯანმრთელობის მდგომარეობას გამოიკვლევენ, თუმცა ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია ,,რეზბალნიცაში“ არის თუ არა სეფსისზე გამოკვლევის ჩატარების საშუალება“, —აღნიშნა ჩიტაძემ.

შეგახსენებთ, რომ 25 ნოემბერს უფლებადამცველებმა სახალხო დამცველს მიმართეს, რათა მას დაუყოვნებლივი რეაგირება მოეხდინა მელორ ვაჩნაძის საკითხზე.

უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრ ხათუნა კალმახელიძესაც მიმართეს და მას მელორ ვაჩნაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის სრული გამოკვლევის უზრუნველყოფა მოსთხოვეს.

მელორ ვაჩნაძე სასჯელს რუსთავის №17 სასჯელარსრულების დაწესებულებაში იხდის. მას ბრალად თაღლითობა ედება. სასამართლომ ვაჩნაძეს ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ოპოზიციის აქტივისტი მელორ ვაჩნაძე 2009 წლის 9 აპრილის აქციების დროს, პარლამენტთან დააპატიმრეს.

მედიანიუსი

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებას პარლამენტში ახალი საკანონმდებლო ინიციატივა შეაქვს

დღეს საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება საქართველოს პარლამენტში შეიტანს კანონპროექტს – „სახელმწიფო კომპენსაციისა და სტიპენდიის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

ეს საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოს პროფკავშირებმა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით მოამზადა და მისი მიზანია მძიმე, მავნე და საშიში პირობებში მომუშავეებს, საპენსიო ასაკის მიღწევამდე, საშიშ, მძიმე და მავნე პირობებში მუშაობის შეწყვეტის შემდეგ, კომპენსაციის სახით, დაენიშნოს თანხა, რომელიც გამოითვლება მათი ხელფასისა და შრომითი სტაჟის შესაბამისად და მოქმედი პენსიის ოდენობაზე ბევრად მეტი იქნება.

„ეს მნიშვნელოვანი ცვლილებებია იმ ადამიანებისთვის, ვისაც ჯანმრთელობისთვის მავნე და მძიმე პირობებში უხდება მუშაობა“, – აცხადებს საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი, – „ეს კანონპროექტი ემსახურება იმას, რომ მეტალურგების, მეხანძრეების, რკინიგზელების, მაღაროელებისა და სხვა პროფესიის ჩვენი თანამოძმეების შრომა შესაფერისად ანაზღაურდეს. ჩვენ ვიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას ამ ინიციატივის მხარდასაჭერად და ყველას მოვუწოდებ, რომ შემოგვიერთდეს. სამართლიანობა უნდა აღდგეს, მძიმე პირობებში შრომა განსაკუთრებულად უნდა დაფასდეს.“

საქართველოს პროფკავშირებმა შეუმუშავა შესაბამისი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც, ეს ცვლილები ბიუჯეტისთვის უმტკივნეულოდ განხორციელდება. უფრო კონკრეტულად ამის შესახებ, პროფკავშირების ხელმძღვანელები ხვალ, 11 საათზე, პარლამენტთანვე გამართულ ბრიფინგზე ისაუბრებენ, – აცნობეს „მედიანიუს“ პროფკავშირებიდან.

მედიანიუსი

# რა სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა გზას გელათიდან სამებამდე?

ნინო მეტრეველი

მსახიობმა სოსო ჯაჭვლიანმა, მწერალმა მერაბ შათირიშვილმა და ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა ლუკა კურტანიძემ კისრებზე ჯაჭვით, გზა გელათის ტაძრიდან სამების საკათედრო ტაძრამდე ფეხით გამოიარეს. მოთხოვნით, დაუბრინდეს ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა, სტარტი 25 ნოემბერს აიღეს. ხუთი დღის თავზე საქართველოს დედაქალაქის შემოსასვლელში მათ ბერა ივანიშვილი დახვდათ.

რა მოსაზრებით და რისი იმედით მიიღეს ეს გადაწყვეტილება საზოგადოების ცნობილმა სახეებმა?

**მერაბ შათირიშვილი:**



– ბოლო დროინდელმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ოპოზიციური ძალები ვერ ახორციელებენ ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკის განეიტრალებას და ეს მხოლოდ ხალხს ძალუძს.

ივანიშვილის გამოჩენამ ქართოლ სინამდვილეში გააჩინა იმედი და შეიქმნა კიდეც სლოგანი „ქართული ოცნება,“ მაგრამ კაცობრიობის გამოცდილება ადასტურებს, რომ ზოგჯერ იმედი და ოცნებაც არ სრულდება. ვფიქრობ, თითოეულმა ქართველმა, არა რომელიმე პოლიტიკური ძალის ან ლიდერის იმედით, არამედ მხოლოდ საკუთარი შესაძლებლებებით, უნდა დადოს თუნდაც ერთი აგური ქვეყნის სასიკეთოდ. დადგა დრო, საქართველოში ადამიანმა თუ ადამიანების ცალკეულმა ჯგუფმა ინდივიდუალურად აკეთოს ქვეყნის სამომავლი საქმეები. ვერცხლის წყლის თვისებაა, რაც უნდა ცალკეულ ნაწილაკებად იქცეს, საბოლოოდ ერთად იყრის თავს. ასეთივე თვისბა გააჩნია ერსაც.

ჩვენი სამეულის მსვლელობა გელათიდან სამებამდე, იყო ერთგვარი პროტესტის გამოხატულება ამ ხელისუფლების წინააღმდეგ, იმ ყველაფრის წინააღმდეგ, რაც დღემდე ბოროტება ჩაუდენია და რასაც აწი ჩაიდენს, ხოლო მისი მთავარი არსი შეიცავ-



და მოთხოვნას, დაუბრუნდეს საქართველოს მოქალაქეობა ბიძინა ივანიშვილს. ხელისუფლების დღევანდელი დამოკიდებულება ივანიშვილის მიმართ ადექვატურია ხელისუფლების ხალხთან დამოკიდებულების. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თუ ხელისუფლება ნამდვილ კონკურენტუნარიან საარჩევნო გარემოს არ შექმნის და არ მოგვცემს თავისუფალი არჩევანის უფლებას, 2012 წლის არჩევნები ისეთივე ფალსიფიცირებული იქნება, როგორიც აქამდე იყო.

როცა ქველმომქედს საქართველოს მოქალაქეობას უუქმებენ, რითი ვართ დაზღვეულები, რომ არჩევნებში ჩვენი ხმა დაცული იქნება? ჩვენი მოთხოვნა პრონციპულად გამართლებულია. ამით ჩვენ ქართულ საზოგადოებას ის ნაპერწკალიც ავუნთეთ, რომ სახალხო პროტესტის გამოხატვა ქუჩაში ისევ შეიძლება. კარგია ხელმოწერები, კარგია „ქართუ ბანკში“ ანაბრების შეტანა, მაგრამ ამით საქმე არ გაკეთდება, თუ ქართულმა საზოგადოებამ ხელისუფლების შემავიწროებელი და ძალისმიერი მეთოდების წინააღმდეგ არ გამოხატა საერთო მღელვარება, იგივე ქუჩაში გამოსვლით 2012 წლის არჩევნებს არანაირი დემოკრატიული პირი არ უჩანს.

ხალხის მოთხოვნა ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი უნდა იყოს, აღუდგეს საქართველოს მოქალაქეობა ბიძინა ივანიშვილს. თუ საერთაშორისო საზოგადოება ხალხის ამდაგვარ პროტესტს დაინახავს, მხოლოდ მაშინ განახორციელებს ხელისუფლებაზე ზეწოლას.

***– როგორ შეირჩა მსვლელობის მარშრუტი?***

– დავით აღმაშენებლის წმინდა საფლავთან სააკაშვილმა ინაუგურაციის დროს დადო ფიცი, რომ ააშენებდა ძლიერ, ერთიან, დემოკრატიულ ქვეყანას, მაგრამ ფიცი დაარღვია და ხელში შეგვრჩა დაქსაქსული, სუსტი ქვეყანა და ავტორიტარული რეჟიმი. „სამება“ კი ბიძინა ივანიშვილის აშენებულია. ჩვენ ამ იდეას გელათიდან სამებამდე ეს დატვირთვა მივეცით, რომ გელათში დადებული ფიცი აღმოჩნდა სიცრუე, ხოლო სამების საკათედრო ტაძარი სიმართლის, პატიოსნების და გამარჯვების ტაძარი.

***– ამბობენ, რომ უწმინდესის კურთხევით განახორციელეთ მსვლელობა. მართალია?***

– არანაირი კავშირი ამას უწმინდესთან არ აქვს, მას არ მოუცია ჩვენთვის კურთხევა და არც მივსულვართ. მხოლოდ ჩვენი იდეა იყო.

***– რატომ დაიკიდეთ კისერზე ჯაჭვები?***

– ჯაჭვი, მოგეხსენებათ, არის მონობის ტვირთი. ჩვენ ამით ქართულ საზოგადოებას ვუთხარით, რომ თუ ხმას არ ავიმაღლებთ და ძალადობას არ აღვუდგებით, მონური ბედი გველის. ჯაჭვებისგან უნდა გავთავისუფლდეთ!

***– ამაზე საქმის კურსში იყო თუ არა თავად ბიძინა ივანიშვილი?***

– არა. თითეული ქართველი ვალდებულია, საერთო საქმისთვის დამოუკიდებელი ნაბიჯები გადადგას, რაც საბოლოო ჯამში ერთ მიზანს, გამარჯვებას უზრუნველყოფს.

***– ფიქრობთ, რომ თქვენი მსვლელობა ხელს შეუწყობს ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენას?***

– ამ ხელისუფლებას ასეთი ერთჯერადი მსვლელობა, რა თქმა უნდა, გონს არ მოიყვანს, მაგრამ თუ ქართველი ხალხის ამგვარი ნაბიჯები ერთიან ძალად იქცევა, მოქალაქეობასაც დათმობს და კეთილსაც ინებებს, დემოკრატიულ არჩევნებსაც ჩაატარებს.

***– იმ დღეებში საშინლად ცუდი ამინდები იყო. არ გაგიჭირდათ გზა?***

– ამინდმა, თოვლმა, ქარმა და წვიმამ ქვეყნის კეთილდღეობისთვის ბრძოლაში ვერ უნდა შეგვაფერხოს.

***– ღამეს სად ათევდით?***

– სადაც მოგვიხდებოდა. ძალიან თბილად გვიღებდნენ, გვიმასპინძლდებოდნენ და გვამხნევებდნენ.

***– თუ გქონდათ ინფორმაცია, რომ ბერა ივანიშვილი უნდა დაგხვედროდათ თბილისში?***

– არა. ვეფხის და მოყმის ძეგლთან შემოგვხვდა ზაქარია ქუცნაშვილი, გაგავამხნევა და გვაუწყა, რომ ბერა ივანიშვილს სურდა ჩვენი ნახვა. რამდენიმე წუთში მართლაც მოვიდა ბერა. გაგვეცნო და გვითხრა, ემოციურად იმდენად დატვირთული ვარ. მიჭირს თქვენდამი მადლიერება გამოვხატოო.

***– თვითონ ბიძინა ივანიშვილი თუ შეგეხმიანათ?***

– ბიძინა ივანიშვილის შემოხმიანება არ იყო მისი ვაჟის მოსვლა?

*– თქვენი სამეული ხომ არ აპირებს „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანებას?*

– ჩვენი სამეული ყოველთვის ქართულ საქმეს გააკეთებს.

# შიდსთან ბრძოლის დღე საქართველოშიც აღნიშნეს

**შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით გუშინ ორგანიზაცია „ლგბტ საქართველო“ საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიურ ცენტრ „თანადგომის“ მხადაჭერით აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეებმა შიდსით გარდაცვლილი ადამიანების ხსოვნას პატივი მიაგეს და სიმბოლურად ჰაერში წითელი საჰაერო ნათურები გაუშვეს.**




შორენა გონგლაძე

### რა არის შიდსი?

შიდსი (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი), რომელსაც ხალხმა მე-20 საუკუნის შავი ჭირი უწოდა, სადღეისოდ მიჩნეულია კაცობრიობისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ თერმობირთვული ომის შემდეგ. ეს არის ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი. ეს ვირუსი უშუალოდ აზიანებს ადამიანის დამცველ, ე. წ. იმუნურ სისტემას და მწყობრიდან გამოყავს იგი, რის შედეგადაც ინფიცირებულ პირს ადვილად უჩნდება სხვადასხვა ინფექციური ან სიმსივნური დაავადებები. შიდსი რეგისტრირებულია მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის 206 ქვეყანაში. ოფიციალური მონაცემებით, სადღეისოდ მსოფლიოში შიდსის ვირუსით ინფიცირებულია 20 მილიონამდე ადამიანი, მათგან 80% სქესობრივი გზით დაავადდა (აქედან 70% ჰეტეროსექსუალურ, ხოლო 10% ჰომოსექსუალურ კავშირებზე მოდის). აივ-ით ინფიცირებულია მსოფლიოში აღრიცხულ ნარკომანთა 80%. შიდსის აღწერა 1981 წელს მოხდა. იგი პირველად აღმოაჩინეს აშშ-ში ჰომოსექსუალ მამაკაცებს შორის. სტატისტიკური მონაცემებით, დღეს მსოფლიოში 34 000 000 აივ დადებითი ცხოვრობს.

რაც შეეხება საქართველოს, შიდსის პირველი შემთხვევა საქართველოში 1989 წელს დაფიქსირდა. პირველი რეგისტრაციიდან დღემდე, მთლიანობაში, 3080 აივ დადებითი დარეგისტრირდა, 680 მათგანი გარდაიცვალა.

### როგორ გადაეცემა შიდსის ვირუსი

ცნობილია შიდსის ვირუსის გადაცემის სამი გზა: სქესობრივი კონტაქტით · ინფიცირებული სისხლის ან მისი ცალკეული კომპონენტების გადასხმით (აივ ინფიცირებულის სისხლით დაბინძურებული შპრიცის, ნემსის და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებისას) და ინფიცირებული დედიდან ნაყოფზე ან ახალშობილზე გადაცემის გზით (მუცლადყოფნის, მშობიარობის ან ძუძუთი კვების დროს).

### შიდსის ვირუსი არ გადაეცემა:

ჰაერ-წვეთოვანი გზით, ნერწყვით, ხველით, ცხვირის დაცემინებით ან კოცნით. შესაბამისად, არ არის საშიში ინფიცირებულთან საუბარი, საყოფაცხოვრებო და სოციალური კონტაქტებით. არ არის საშიში ხელის ჩამორთმევა, დაავადებულის მიერ გამოყენებული ჭურჭლით, თეთრეულით, საერთო საპირფარეშოთი და აბაზანით სარგებლობა. არ არის საშიში აივ ინფიცირებულთან ერთად ყოფნა სასწავლო დაწესებულებებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, როგორიცაა კინოთეატრი, სტადიონი, საცურაო აუზი და სხვ. არ არის საშიში მეტროთი და სხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა, ვირუსი ასევე არ გადადის მწერებისა და ცხოველების საშუალებით.

### რა სიმპტომები ახასიათებს შიდსს

ინკუბაციური პერიოდის განმავლობაში, რომელიც საშუალოდ 3-10 წელს გრძელდება, ინფიცირებული ადამიანი თავს პრაქტიკულად ჯანმრთელად გრძნობს. შიდსი კლინიკურად გამოვლინდება იმუნური სისტემის ღრმა დაზიანების შემდეგ და ხასიათდება მრავალფეროვანი სიმპტომატიკით. ყველაზე ხშირად მას ახასიათებს: ტემპერატურის უმიზეზო მომატება 1 თვეზე მეტი ხნის მანძილზე, ლიმფური კვანძების გადიდება, ძლიერი საერთო სისუსტე, მუქი წითელი ფერის ლაქები კანსა და ლორწოვან გარსებზე, გახანგრძლივებული პნევმონია (ფილტვების ანთება), რომელიც არ ექვემდებარება ჩვეულებრივ მკურნალობას, ძლიერი ოფლიანობა, განსაკუთრებით ღამით, თეთრი ფერის ნადები პირის ღრუს ლორწოვანზე, პათოლოგიური მოვლენები ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ და სხვ.

### ვინ მიეკუთვნება შიდსის მაღალი რისკის ჯგუფებს

შიდსი საფრთხეს უქმნის მთელ მოსახლეობას, მაგრამ საზოგადოების მთელი რიგი ფენები, მათი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, გაზრდილი საფრთხის წინაშე დგანან. დღეისათვის საქართველოში აივ ინფექცია ძირითადად ნარკომანიის გზით ვრცელდება, გამოვლენილ ინფიცირებულთა 50% ინტრავენური ნარკომანია.

მაღალი რისკის ჯგუფებს აგრეთვე მიეკუთვნებიან, ჰომოსექსუალისტები, მეძავები და მათი პარტნიორები, ვენერიული სნეულებებით შეპყრობილნი, ტუბერკულოზით დაავადებულნი, ჰემოფილიით დაავადებულნი და სისხლის რეციპიენტები, მოგზაურები და სხვ.

### შიდსის გავრცელების რა ხელშემწყობი ფაქტორები მოქმედებს საქართველოში

ნარკომანიის ფართოდ გავრცელება (ინტრავენული ნარკომანთა სავარაუდო რიცხვი 200 000-ს აღემატება), მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მიგრაცია და არასახარბიელო ეპიდსიტუაცია საქართველოს მეზობელ ქვეყნებში შიდსის მხრივ; მოსახლეობის დაბალი სანიტარული კულტურა და შიდსის შესახებ ცოდნის დაბალი დონე, რეზერვატივებით უზრუნველყოფის დაბალი დონე და მათზე ტრადიციულად დაბალი მოთხოვნილება, სამედიცინო აპარატურის, სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების, ერთჯერადი შპრიცებისა და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტების, სასტერილიზაციო საშუალებათა ნაკლებობა.

### როგორ ხდება ადამიანის ინფიცირების დადგენა

შიდსის ვირუსით ინფიცირების დიაგნოზის დასმა სპეციფიკური ლაბორატორიული გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია. აივ ინფექციის ლაბორატორიული დიაგნოსტიკა ემყარება სისხლში საკუთრივ ვირუსის, მისი ცალკეული ცილების ან ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების გამოვლენას. შიდსის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულები სისხლში ჩნდება ორგანიზმში ვირუსის შეჭრიდან მხოლოდ 6-8 კვირის შემდეგ, ამიტომ გამოკვლევა უნდა ჩატარდეს შესაძლო ინფიცირების მომენტიდან სულ ცოტა თვენახევრის შემდეგ.

სადღეისოდ არ არსებობს შიდსის საწინააღმდეგო ვაქცინა ან რაიმე სამკურნალო საშუალება, მაგრამ იმედისმომცემია ბოლო დროის მიღწევები ანტივირუსული პრეპარატების შექმნის სფეროში.

# ნიაზ დიასამიძემ „საფერავი“ გამოუშვა

ეკა ირემაშვილი


ნიაზ დიასამიძე

მომღერალმა ნიაზ დიასამიძემ და ჯგუფმა „33ა“ ახალი ალბომი გამოუშვეს და მას „საფერავი“ უწოდეს. სწორედ ახალი ალბომის პრეზენტაცია და კონცერტია დაგეგმილი 3 დეკემბერს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც ნიაზ დიასამიძე მეგობრებთან ერთად იმღერებს. მომღერლის ახალი ალბომი „საფერავი“ უკვე გაყიდვაშია. მასში 14 კომპოზიციაა შესული.

— წესით, კარგი კონცერტი უნდა გამოვიდეს. მასში მონაწილეობას მიიღებენ ჩემი მეგობრები არა მარტო საქართველოდან, არამედ სხვადასხვა ქვეყნებიდანაც. მათ შორის პოლონეთიდან და საფრანგეთიდან. რაც შეეხება ალბომს, მასზე 3 თვე ვმუშაობდით, თუმცა მანამდე კომპოზიციებზე მიდიოდა ფიქრი და მუშაობა. ალბომში სულ 14 სიმღერაა შესული, რომელსაც კონცერტზე შევასრულებთ, — ამბობს მომღერალი.

ახალი ალბომის პარალელურად, ნიაზ დიასამიძემ ამავე სახელწოდების კლიპი — „საფერავი“ გადაიღო, რომლის რეჟისორიც, ოპერატორიც და მემონტაჟეც თავად არის. კლიპში ქართული სულიერი ღირებულებები — სახარება, ეკლესიები და ვაზის სიყვარულია აქცენტირებული. ნიაზ დიასამიძის ახალ ნამუშევარში მისი შვილიც არის გადაღებული. ნიაზ დიასამიძის ახალ კლიპში სიყვარულის თემაა და სიმღერის ტექსტიც იმაზეა, რომ სჯობს მეტი დრო დავუთმოთ სიყვარულს და ნაკლები — ბოროტებას.

ახალი ალბომის საპრეზენტაციო საღამოზე ნიაზ დიასამიძე თავის უცხოელ კოლეგებთან ერთად ერთობლივ სიმღერებსაც შეასრულებს. ნიაზ დიასამიძისა და „33ა“-ს კონცერტი „ქართული ხელოვნების საღამოების“ ფარგლებში მოეწყობა. ამ პროექტის ფარგლებში ნიაზ დიასამიძე თავის ერთგულ მსმენელს გაზაფხულზეც შეხვდება. 6 აპრილს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ნიაზ დიასამიძის კონცერტი უკვე დაგეგმილია.

ეს პროექტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეგიდით იმართება და მასში 7 თვის განმავლობაში 24 კონცერტია გაერთიანებული. ამ საკითხთან დაკავშირებით მასმედიის წარმომადგენლებს დაწვრილებით ესაუბრა კულტურის მინისტრის მოადგილე მაკო ჭოლოშვილი და განაცხადა:

— საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზთან ერთად განაგრძობს პროექტს სახელწოდებით ,,ქართული ხელოვნების საღამოები“. პროექტის ფარგლებში, ნოემბრიდან მაისის ჩათვლით, ყოველი კვირის ბოლოს, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასისა და ქართული ფოლკლორის საღამოები, რომლის გრაფიკი უკვე შედგენილი და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისა თუ ორგანიზაციისათვის. ოქტომბერში დაწყებული პროგრამა გრძელდება და ის გაგრძელდება მაისის ბოლომდე. ამჟამად პროექტი „ქართული ხელოვნების საღამოები“ ანსამბლ „მართვესა“ და ქართული ფოკლორის მოსწავლეთა სასახლის კონცერტით გაგრძელდა. ამ ღონისძიებებით დაინტერესდა კერძო სექტორი და ჩვენ გაჩერების უფლება არ გვაქვს. ამდენი მნიშვნელოვანი კოლექტივი სხვა საკონცერტო სერიებში არასოდეს ყოფილა წარმოდგენილი. „ქართული ხელოვნების საღამოების“ იდეა ისაა, რომ მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას.

როგორც კულტურის სამინისტროში განმარტავენ, ამ კონცერტებში მონაწილეებს მათთვის სახელმწიფოსგან გამოყოფილი თანხა არ დაეხარჯებათ. კონცერტები, პროექტის ფარგლებში, 7 თვის განმავლობაში, ყოველი კვირის ბოლო პარასკევს გაიმართება და მასში მონაწილეობას მიიღებენ ანსამბლები „რუსთავი“, „ერისიონი“, „სუხიშვილები“, ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით, ფოლკლორის ეროვნული ცენტრი ახალი პროგრამით, ანსამბლები: ,,მართვე“, ,,ქართული ხმები“, ნიაზ დიასამიძე და 33ა და „ზუმბალენდი“.

2 დეკემბერს მაყურებელთან შესახვედრად ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი ანსამბლ „ქართულ ხმებთან“ ერთად ემზადება, 9 დეკემბერს დიდ დარბაზში კონცერტს ანსამბლი „რუსთავი“ გამართავს, 16 დეკემბერს — „ერისიონი“, 23 დეკემბერს — თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საბალეტო დასი. „ქართული ხელოვნების საღამოები“ უკვე 2012 წლის 8 იანვრიდან განახლდება. „ზუმბალენდი“ მსმენელის წინაშე წარდგება ახალი პროგრამით „მულტიტესტი“, რომლის პრეზენტაციაც ივენთ ჰოლში შედგება. 13 იანვარს ბალეტის მოყვარულთათვის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი იცეკვებს. 20 იანვარს ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტია დაგეგმილი, 27 იანვარს დიდ საკონცერტო დარბაზში სუხიშვილების კონცერტი ჩატარდება. 2 თებერვალს — „ერისიონის“, 10 თებერვალს — ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის, 17 თებერვალს — ანსამბლი „რუსთავის“, 24 თებერვალს — „ერისიონის“, 2 მარტს — „რუსთავის“, 23 მარტს — სუხიშვილების, 30 მარტს — „ერისიონის“, 13 აპრილს— „ქართული ხმების, 27 აპრილს — „ერისიონის“, 4 მაისს — „რუსთავის“, 18 მაისს — სუხიშვილების. „ქართული ხელოვნების საღამოები“ 25 მაისს ფოლკლორის ცენტრის ახალი პროგრამით თბილისის ივენთ ჰოლში დასრულდება. ყველა კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 10-დან 30 ლარამდეა.

# პაატა ბურჭულაძემ ანგარიში ჩაგვაბარა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რალმა აღნიშნა, ყველაფერი საზოგადოების თანადგომით გაკეთდა. ამისთვის პაატა ბურჭულაძემ თითოეული გადარიცხული თეთრისათვის საზოგადოებას გულითადი მადლობა გადაუხადა. ფონდ „იავნანას“ მიერ 8 წლის განმავლობაში 47 საქველმოქმედო საღამო გაიმართა, 64 მრავალშვილიან ოჯახს გადაეცა ბინა, 800-ზე მეტი ბავშვი კი დაუბრუნდა საკუთარ მშობლებს. ბავშვების ოჯახში დაბრუნების გარდა, ფონდმა სოციალურად დაუცველ 113 წარჩინებულ სტუდენტს სწავლის გადასახადი დაუფინანსა.

ფონდ „იავნანას“ დასახმარებლად ეტაპობრივად არაერთი საქველმოქმედო საღამო ეწყობა. მარჯანიშვილის თეატრში გაიმართა საიუველირო ნაკეთობების აუქციონი, სადაც გაყიდული ნივთებიდან შემოსული თანხა მთლიანად ფონდ „იავნანას“ გადაეცა. საღამოს წამყვანი თავისუფალი თეატრის მსახიობი კახა მიქიაშვილი იყო. როგორც ფონდ „იავნანას“ სამხატვრო ხელმძღვანელმა თეონა ჯორბენაძემ აღნიშნა, ამ საღამოზე გაყიდული ნივთებიდან შეგროვილმა თანხამ 1000 ლარი შეადგინა, რომელიც ფონდის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ყველაზე გაჭირვებულ ოჯახებზე გადანაწილდა.

ფონდ „იავნანას“ ხელმძღვანელობა მადლიერებას გამოთქვამს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მათ საქმიანობაში თანადგომას უცხადებენ სხვადასხვა კომპანიები მრავალფეროვანი საქველმოქმედო ღონისძიებებით. სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე პაატა ბურჭულაძემ განაცხადა, რომ ერთად უფრო მეტის გაკეთებაა შესაძლებელი და სწორედ ამიტომ, საზოგადოებას ქველმოქმედებისა და მხარდაჭერისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა.

პრესკონფერენცია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მოეწყო, რომელსაც გაეროს ბავშვთა ფონდის „იუნისეფი“ წარმომადგენელი საქართველოში როლანდ გონაში და ვითიბი ბანკის გენერალური დირექტორი არჩილ კონცელიძე ესწრებოდნენ.

კონსერვატორიის ფოიეში ფონდ „იავნანას“ 8 წლიანი საქმიანობის ამსახველი ფოტომასალა, ქართველი და უცხოელი ვარსკვლავების მიერ გამართული საქველმოქმედო კონცერტების ფრაგმენტები და იმ ოჯახების ფოტოები გამოიფინა, ვისაც შემოსული თანხითა და შემოწირულობებით ფონდმა ბინები შეუძინა და წლების განმავლობაში უწყვეტად ეხმარება. პაატა ბურჭულაძემ დეტალურად ისაუბრა ყველა იმ მიმართულებაზე, რაზეც ფონდი „იავნანა“ მუშაობს.

როგორც მსოფლიო ბანმა განაცხადა, ეს მხოლოდ დასაწყისია. მომავალში ფონდის სახელით მსოფლიო ვარსკვლავთა მონაწილეობით კიდევ უფრო მასშტაბური და გრანდიოზული კონცერტები გაიმართება. დაარსებიდან 8 წლის იუბილეს კი „იავნანა“ 2012 წლის 3 მარტს იზეიმებს.

**პაატა ბურჭულაძე, „იავნანას“ დამფუძნებელი:**

— საგულისხმოა, რომ ომის დამთავრების დღიდან ჩვენ 70 ლარით ვეხმარებოდით ომში დაღუპული ოჯახის შვილებს. მათი რაოდენობაა 130. ეს დახმარება გაგრძელდება მანამ, სანამ ისინი 18 წლის არ შესრულდებიან. დღეს გვაქვს ბედნიერება გამოვაცხადოთ, რომ თანხა 100 ლარამდე გაიზარდა. ფონდი შეეცდება ეს რიცხვი კიდევ გაზარდოს. ჩვენ გვინდა გამოვაცხადოთ, რომ ვისაც სურვილი ექნება, მხარში ამოგვიდეს. უფრო კონკურენტულად კი ვიტყვი, რომ მსურველმა თვეში თითო ბავშვზე 100 ლარი უნდა გამოყოს, რაც წელიწადში 1200 ლარია.

*— მსურველები არიან?*

— სამი მსურველი უკვე გაჩნდა და იმედი მაქვს, ეს რიცხვი გაიზრდება. ჩვენ ერთად უნდა ვაკეთოთ კეთილი საქმეები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თქვენი, საზოგადოების თანაგომის გარეშე, ჩვენი საქმიანობა ნულის ტოლია.

*— კიდევ რა მიმართულებით გეგმავთ მუშაობას?*

— ჩვენი ყველაზე დიდი გამარჯვება ის არის, რომ მსოფლიო დონის ვარსკვლავები უპრობლემოდ ჩამოდიან ჩვენს საქველმოქმედო კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად. 29 და 30 ნოემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში დაუკრა ლექსო თორაძემ. ეს იყო ორი ძალიან დიდი კონცერტი. როგორც იქნა, ჩვენი დიდი ლექსო თორაძე ჩამოვიყვანე საქართველოში. ის 10 წელია საქართველოში არ გამოსულა და ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის ეს საღამოები. მიუხედავად იმისა, რომ ლექსომ მადრიდში გამართულ ჩვენს საქველმოქმედო კონცერტში მიიღო მონაწილეობა, სულ სხვაა, როცა თბილისში „იავნანასთვის“ ჩამოვიდა და დაუკრა. ეს საღამოები მნიშვნელოვანი იმითაც იყო, რომ ორკესტრს მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანი დირიჟორობდა. ეს მოვლენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ 9 შვილიანი ოჯახისთვის, რომელსაც ბინის გასაღები გადაეცა. ჩვენმა ფონდმა არსებობის მანძილზე უკვე 65 ასეთ ოჯახს გადასცა ბინის გასაღები და მშობლებს მოწყვეტილი შვილები ბავშვთა სახლებიდან ისევ მშობლებთან დააბრუნა.

*— „იავნანას“ იუბილე როდის გაქვთ?*

— მომავალი წლის 3 მარტს ჩვენი ფონდი დაარსებიდან 8 წლის იუბილეს იზეიმებს.

**რონალდ გონაში, „იუნისეფის“ წარმომადგენელი საქართველოში:**

— ძალიან მნიშვნელოვანია პაატა ბურჭულაძის შეხედულება, რომ ბავშვი უნდა გაიზარდოს სახლში და არა ბავშვთა სახლში. კვლევებმა დაადგინეს, რომ ბავშვებზე ბავშვთა სახლებს ცუდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. ეს ყველაფერი, გარდა იმისა, რომ ფიზიკური და გონივრული განვითარების შეფერხებას იწვევს, სახელმწიფოსთვის 15-ჯერ უფრო ძვირი ჯდება ასეთი სახლების უზრუნველყოფა. ჩვენი დევიზია „ოჯახი ყველა ბავშვს“ და მიხარია, რომ პაატა ასე კარგად მუშაობს ამ კუთხით. სწორედ მისი ასეთი ხედვის და საქმიანობის გამო, პაატა ბურჭულაძე გაეროს კეთილი ნების ელჩი გახდა.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი**
**ბ/კ: 220 101 465**
**ანგ. N 36 010 892 GEL;**
**136 180 892 USD;**
**236 180 892 EUR**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.
ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

- მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრი კარკასი, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, რკინის კარით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, თბილისიდან 20 კმ-ში, თელეთის ახალ ბაზართან 5 კმ-ში. შესაძლებელია განვადება. ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.
- აველოკი ტოიოტა, უხმარი,Оთხძაფიანი, ფასი: 539Lლარი. საკერავი მანქანა, გერმანული,Uუხმარი, 21Оოპერაცია, ფასი: 419Lლარი. ტელ: 790-75-45-78. 571-75-45-77. 557-59-97-54. ზურა.
- ძალიან პერსპექტიული 4-ოთახიანი, ჩეხური პროექტის ურემონტო ბინა, პირველ სართულზე, ნაკვეთით, დიდი სარდაფით, გლდანის მე-6 მკრ., 23-ე კორპ.; ფასი: 60.000 დოლარი. ტელ.: 593-40-84-32.

## განცხადებები

- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. დაგვიკავშირდნენ მხოლოდ მკურნალობის ახლავე დაწყების მსურველები. მომავლისათვის მკურნალობის მსურველები დაგვიკავშირდით მხოლოდ მომავალში. მიღება წინასწარი ჩაწერით. ფასი 300-500 ლარამდე. მისამართი: ქ.თბილისი, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 551-254-535 ბ-ნი ლევანი.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.
- სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# ჭიდაობაში პროგრამა მინიმუმი 12 ოლიმპიური ლიცენზიაა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი ეროვნულ ფედერაციებთან მჭიდროდ თანამშრომლობს, აქვს სისტემატური შეხვედრები და სამომავლო გეგმების განხილვა იყო. ეს ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა, რაც სპორტის ამა თუ იმ სახეობაში ოლიმპიადისთვის მზადების თვალსაზრისით უსათუოდ სასიკეთო უნდა გამოდგეს.

„ლონდონი 2012"-ის ოლიმპიურ ციკლში მომავალი წელი ყველა კომპონენტში მნიშვნელოვანია, რამეთუ პროგრამაში შეტანილ სპორტის 26 სახეობაში ლიცენზიების უმეტესობა სწორედ გაისად განაწილდება. გარდა ამისა ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პერიოდში სხვა საორგანიზაციო საკითხებიც საკმაოდაა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალიც შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს და ყველაფერი ზედმიწევნით სკურპულოზურად უნდა გაკეთდეს.

სეოკ-ის ახალ ოფისში პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი და ვიცე-პრეზიდენტი დავით გობეჯიშვილი მშვილდოსნობის, ბატუტზე ხტომის, ფრენბურთის, ჭიდაობის, წყლის სახეობათა და ფარიკაობის ფედერაციათა ხელმძღვანელებსა და მწვრთნელებს შეხვდნენ.

მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდეტმა მამუკა ქაცარავამ უმთავრესად ივნისის თვეში ამერიკაში დაგეგმილ ერთადერთ სალიცენზიო ტურნირზე ისაუბრა, სადაც ლიცენზიები მხოლოდ გუნდურ ასპარეზობაში ნაწილდება და იქაც საკმაოდ ძლიერ კონკურენტებთან მოგვიწევს საქმის დაჭერა. ლონდონში მედლებისთვის მშვილდოსნობაში სულ 12 გუნდი იბრძოლებს, რომელთაგან 9 საგზური უკვე გათამაშებულია, ხოლო დარჩენილ 3 ლიცენზიაზე აშშ-ს, ესპანეთის, იაპონიის, პოლონეთისა და სხვა ძლიერი ქვეყნების წარმომადგენლებს უნდა შევებრძოლოთ. რაც შეეხება ინდივიდუალურს შარშან იტალიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მომხდარი დიდი უსამართლობის გამო მხოლოდ ქრისტინე ესებუას იმედზე ვართ. ქაცარავას თქმით, არის შანსი ევროპის ჩემპიონატზე ვაჟებშიც ავიღოთ ერთი ლიცენზია.

ბატუტზე ხტომაში ახლახანს ბირმინგემში დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ არა ლუბა გოლოვინას უნებლიე შეცდომა უკვე ოლიმპიური საგზურიც დაბევებული ექნებოდა, ახლა კი მან ინგლისში მოსახვედრად 13 იანვარს ლონდონში გასამართ ოლიმპიურ ტესტზე უნდა იბრძოლოს, რისთვისაც 16 მონაწილიდან მინიმუმ 6 საუკეთესოში უნდა მოხვდეს. ნაკრების მწვრთნელის ზაურ სულაშვილის და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის რუსუდან ხოფერიას განმარტებით ლუბას ლიცენზიის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს.

პლიაჟის ფრენბურთში კვლავ ნატურალიზებული ბრაზილიელების გეორ-გიასა და საქა-რთველოს იმედად ვართ. ამისათვის მათ ოლიმპიადამდე დარჩენილ 7 სალიცენზიო ტურნირში უნდა მოაგროვონ სარეიტინგო ქულები.

წყალში მხტომელებს ლიცენზიის მოპოვების უკანასკნელი შანსი თებერვალში ექნებათ. ირაკლი ბართაიას განცხადებით ჭოლა ჭანტურია სტაბილურად ასპარეზობს, ფსიქოლოგიურადაც უკეთ არის მზად და თუ სასწაული არ მოხდა საგზურს გარანტირებულად მოიპოვებს, ხოლო შოთა კორახაშვილის შანსები შედარებით მცირეა. რაც შეეხება ცურვას აქ ორი კანდიდატი ირაკლი რევიშვილი და დავით ბოლქვაძე გამოიკვეთა, რომელბიც სალიცენზიო მარათონში ჩაებმებიან, თუმცა სავარაუდოდ ე.წ. „ველური ბარათის" სახით ერთ საგზურს მაინც მოგვცემენ.

ჭიდაობის სახეობებში სალიცენზიო შეჯიბრებები აპრილიდან იწყება და საგზურები ბულგარეთის, ჩინეთისა და ფინეთის ტურნირებზე განაწილდება. თავისუფალ ჭიდაობაში დღესდღეობით 4 ლიცენზია გვაქვს, შედარებით პრობლემებია ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც ამ ეტაპზე 1 საგზურის ამარა ვართ. ითქვა, რომ ორთავე სახეობაში პროგრამა მინიმუმი 12 ლიცენზიის მოპოვება უნდა იყოს, რაც გადაუჭრელ ამოცანას არ წარმოადგენს.

ფარიკაობაში მინიმუმ ერთი ლიცენზიის მოპოვება იგეგმება და რეიტინგის მიხედვით ამის საუკეთესო შანსი კახა მაღრაძეს აქვს.

გია ნაცვლიშვილის თქმით სალიცენზიო ტურნირებზე ჩვენი სპორტსმენების ასპარეზობის უმთავრეს ნაწილს და შეჯიბრებისწინა საჭირო შეკრებებს სეოკ-ი დააფინანსებს.

# პრემიერ-მინისტრი ბერლუსკონი პრეზიდენტი ხდება

სანამ სილვიო ბერლუსკონის იტალიის პრემიერმინისტრის პოსტი ეკავა, არ ჰქონდა უფლება საფეხბურთო კლუბ „მილანის" პრესიდენტობაც შეეთავსებია. არადა, ისედაც ყველამ იცოდა, რომ ეს კლუბი მისი საკუთრება იყო. მას შემდეგ კი, რაც დონ სილვიომ თანამდებობა დატოვა, უკვე აპირებს ისევ „მილანს" მიხედოს.

– ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, პრემიერმინისტრს არ აქვს უფლება იყოს საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი და შესაბამისად, ოფიციალურად ეს პოსტი დღემდე ვაკანტური გახლავთ. თუმცა, პრემიერობის დროსაც კლუბი ჩემს ფლობელობაში რჩებოდა და არც უარვყოფდი, რომ მართვის პროცესებში გარკვეულ მონაწილეობას ვიღებდი. სულ მალე, პრეზიდენტის პოსტზე ოფიციალურად დავბრუნდები და „მილანის" საქმეებში გაცილებით უფრო აქტიურად ჩავერევი. ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში, „მილანმა" 27 ტიტულის მოპოვება შეძლო, რაც სარეკორდო მაჩვენებელია მსოფლიო მასშტაბით. ჩემს შემდეგ, სანტიაგო ბერნაბეუ მოდის, რომლის „რეალმაც" ჩვენი ტიტულების მხოლოდ ნახევარი მოიგო, – განაცხადა ბერლუსკონიმ, რომელიც აშკარად ურევს ტიტულების რაოდენობით მოგებულ რეკორდებს.

მსოფლიო ფეხბურთს არაერთი პრეზიდენტი ახსოვს, რომლის მმართველობის დროსაც ამა თუ იმ კლუბმა სამ ათეულზე მეტი ტროფეი მოიგო – ამ მხრივ, რეალური რეკორდსმენი „პორტუს" პრეზიდენტი პინტუ და კოშტა გახლავთ, რომლის დროსაც მისმა გუნდმა 51 ტიტული მოიგო. ერთია, „მილანის" მეტოქეები გაცილებით რთულია, ვიდრე „პორტუსი", მაგრამ აქ ციფრებზეა საუბარი და არა მეტოქეებზე.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ევროპის ლიგა**

რუბინი-შემროკი ........................ 4:1
მალმიო-ალკმაარი ........................ 0:0
მარიბორი-ბრიუგე ........................ 3:4
მეტალისტი-აუსტრია ........................ 4:1
რენი-უდინეზე ........................ 0:0
სელტიკი-ატლეტიკო ........................ 0:1
ბრაგა-ბირმინგემი ........................ 1:0
ვორსკლა-კოპენჰაგენი ........................ 1:1
ლეგია-პსვ ........................ 0:3
რაპიდი-ჰაპოელი ........................ 1:3
სტანდარდი-ჰანოვერი ........................ 2:0
ტოტენჰემი-პაოკი ........................ 1:2

**ინგლისის ლიგის თასი**

მანჩესტერი-კრ.პალასი ......... 1:2(დდ)

**იტალია. თასი**

ჩეზენა-გუბიო ........................ 3:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოლიმპიაკოსი-დოჰა ........................ 6:0

### კალათბურთი

**ევროლიგა. ულების თასი**

ჟალგირისი-უნიკახა ................. 67:65
შარლერუა-ეფესი ................. 62:66

თორნიკე შენგელია: 1 ქულა, 2 მოხსნა

ბროზე ცსკა ................. 78:81
ბილბაო-ნანსი ................. 97:75
პანათინაიკოსი-ზაგრები ......... 94:76

**ევროჩელენჯი**

ბონი-მინსკი ................. 93:81
ოლდენბურგი-ნიტრა ................. 88:79

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

დეტროიტი-ტამპა ბეი ................. 4:2
ტორონტო-ბოსტონი ................. 3:6
კოლორადო-ნიუ ჯერსი ................. 6:1
ედმონტონი-მინესოტა ......... 2:2(0:1ბ)
ანაჰაიმი-მონრეალი ................. 4:1

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# პაოკის სირტაკი ევროპის ლიგაში

ევროპის ლიგის გათამაშების დასკვნითი ტურის წინ გაირკვა რამდენიმე გუნდი, რომელიც შემდეგ ეტაპზე ბრძოლას გააგრძელებს, ამასთან რამდენიმე სენსაციურმა ანგარიშმა ზოგიერთ ჯგუფში სიტუაცია უაღრესად დაძაბა.

### ა ჯგუფი

**ტოტენჰემი-პაოკი 1:2**

**0:1 სალპინგიდისი (6), 0:2 ათანასიადისი (14), 1:2 მოდრიჩი (39პ)**

**გაძევება:** სტაფილიდისი (37პ)

ლონდონურ კლუბს აუცილებლად სჭირდებოდა მოგება და ბერძნებთან უდავო ფავორიტად ითვლებოდნენ, თუმცა მე-6 და მე-14 წუთებზე სალპინგიდისა და ათანასიადისის მიერ გატანილი გოლებით, პაოკი 2:0 დაწინაურდა და „ტოტენჰემი" ძალზე რთულ მდგომარეობაში ჩავარდა.

ლონდონელებს იმედი 37-ე წუთზე გაუჩნდათ, როდესაც ბოლო იმედის ჯარიმისთვის მოედნიდან სტაფილიდისი გააძევეს და მასპინძლებს პენალტის დარტყმის უფლებაც მიეცათ – მოდრიჩმა სხვაობა შეამცირა და წინ კიდევ დიდი დრო იყო 10 ფეხბურთელით დარჩენილი პაოკი გაეტეხათ. თუმცა ასე არ მოხდა – ბერძნებმა მოახერხეს და ლონდონელთა შეტევებს გაუძლეს, რითიც შემდეგ ეტაპზე გასვლა გაინაღდეს.



რაც შეეხებათ ლონდონელებს, მათი ბედი ისევ პაოკზე ჰკიდია – ბერძნებმა შინ აუცილებლად უნდა დაამარცხონ ყაზანის „რუბინი", თუმცა როგორც გითხარით, ეს გამარჯვება აღარაფერში სჭირდებათ და რამდენად მოიკლავენ თავს, ეს უკვე ლონდონელთა სადარდებელია.

**რუბინი-შემროკი 4:1**

**1:0 ვალდესი (10), 1:1 ომანი (12), 2:1 ნაჩო (35), 3:1 ვალდესი (51), 4:1 მარტინსი (62)**

ყაზანელებს მეტოქის ძლევა არ გასჭირვებიათ. მართალია, ვალდესის სწრაფ გოლს 2 წუთში უპასუხა ომანმა, მაგრამ დარჩენილ დროში რუსული გუნდის უპირატესობა დიდი იყო და ეს ანგარიშშიც აისახა – 4:1.

„რუბინს" შემდეგ ეტაპზე გასასვლელად უმოტივაციო პაოკთან სტუმრად ფრეც აწყობს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პაოკი | 5 | 3 | 2 | 0 | 9:5 | 11 |
| 2.რუბინი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:4 | 10 |
| 3.ტოტენჰემი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 7 |
| 4.შემროკი | 5 | 0 | 0 | 5 | 4:15 | 0 |

### ბ ჯგუფი

**სტანდარდი-ჰანოვერი 2:0**

**1:0 ჩიტე (26), 2:0 სირიაკი (59)**

ბელგიელებმა ამ გამარჯვებით ჯგუფში პირველი ადგილი დაიბევეს და მთელი მატჩის განმავლობაში საქმეს ურთულებდნენ „ჰანოვერს" თუმცა გერმანელთა გასახარად, რაც თავად ვერ მოახერხეს, ჯგუფის მეორე მატჩში მეტოქეები დაეხმარნენ და „სტანდართან" ერთად მეთექვსმეტედფინალში ითამაშებენ.

**ვორსკლა-კოპენჰაგენი 1:1**

**1:0 ნდოიე (31სკ), 1:1 ნდოიე (37)**

„ვორსკლას" ბედი გადაწყვეტილი იყო, ხოლო „კოპენგანეს" ჯერ კიდევ ჰქონდა შანსი შემდეგ ეტაპზე გასულიყო. დანიელები ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო ნდოიემ, რომელმაც ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. მართალია, მალევე გამოასწორა შეცდომა და უკვე მეტოქის კარშიც გაიტანა, მაგრამ „კოპენჰაგენს" მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა და ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სტანდარდი | 5 | 3 | 2 | 0 | 8:1 | 11 |
| 2.ჰანოვერი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:6 | 8 |
| 3.კოპენჰაგენი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | 5 |
| 4.ვორსკლა | 5 | 0 | 2 | 3 | 3:7 | 2 |

### ც ჯგუფი

**ლეგია-პსვ 0:3**

**0:1 მანოლევი (32), 0:2 მერტენსი (59პ), 0:3 ლაბიადი (68)**

**გაძევება:** კუჩიაკი (56ლ)

ორივე გუნდი შემდეგ ეტაპზე უკვე გასული იყო და გასარკვევი მხოლოდ პირველადგილოსნის ბედი რჩებოდა. ეს კი ჰოლანდიელებს ერგოთ, რომლებიც მანოლევის გოლით დაწინაურდნენ. ლეგიას ჯერ კიდევ ჰქონდა მატჩის გადარჩენის შანსი, მაგრამ კუჩიაკის გაძევებისა და მერტენსის გატანილი პენალტის შემდეგ დარჩენილი დრო ფორმალობად იქცა. თუმცა, ლაბიადიმ მაინც დასვა საბოლოო წერტილი.

**რაპიდი-ჰაპოელი თ. 1:3**

**0:1 იგიებორი (12), 0:2 ტამუზი (39პ), 1:2 დეაცი (43პ), 1:3 ტოამა (45)**

ეს მატჩიც თავისთავად არაფრის მთქმელი იყო – ორივე გუნდისთვის მეთექვსმეტედფინალი მანამდე იქცა მიუწვდომლად, თუმცა ბრძოლა მაინც გაჩაღდა. ებრაელებმა პირველ ტაიმში სამი გოლი გაიტანეს, რასაც დეაცმა პენალტით უპასუხა. მასვე შეეძლო მეორე ტაიმში ანგარიშში სხვაობის შემცირებაც, მაგრამ 68-ე წუთზე ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი და პირველი ტაიმის ანგარიში უცვლელი დარჩა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსვ | 5 | 4 | 1 | 0 | 11:4 | 13 |
| 2.ლეგია | 5 | 3 | 0 | 2 | 7:7 | 9 |
| 3.ჰაპოელი | 5 | 1 | 1 | 3 | 8:9 | 4 |
| 4.რაპიდი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:10 | 3 |

### ღ ჯგუფი

**მალმიო-ალკმაარი 0:0**

შვედებისთვის ეს პირველი ქულა იყო მიმდინარე ტურნირში და ცხადია მათი ამბიცია შორს ვერ წავა. აი, „ალკმაარს" კი ამით საქმე გაურთულდა – ჰოლანდიელები ახლა მეთექვსმეტედფინალის საგზურის ბედს „აუსტრიასთან" ჯახში გაარკვევენ.

**მეტალისტი-აუსტრია 4:1**

**1:0 დევიჩი (16), 1:1 მადერი (19), 2:1 ედმარი (40), 3:1 გუეიე (60), 4:1 სოსა (90)**

ავსტრიელთა განადგურებით, „მეტალისტმა" პირველი ადგილი გაინაღდა და ბოლო ტურს დამშვიდებული ხვდება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მეტალისტი | 5 | 4 | 1 | 0 | 14:5 | 13 |
| 2.ალკმაარი | 5 | 1 | 4 | 0 | 9:6 | 7 |
| 3.აუსტრია | 5 | 1 | 2 | 2 | 8:11 | 5 |
| 4.მალმიო | 5 | 0 | 1 | 4 | 4:13 | 1 |

### ჰ ჯგუფი

**ბრაგა-ბირმინგემი 1:0**

**1:0 ვიანა (51)**

ამ მოგების შემდეგ სატურნირო ცხრილში პორტუგალიელები მეორე ადგილზე არიან, თუმცა შემდეგ ეტაპზე გასვლის უფლება უკვე მოიპოვეს. პირველ ადგილზე მყოფ „ბრიუგეს" კი ამის გაკეთება ბოლო ტურში მოუწევთ „ბირმინგემთან". საქმე ის არის, რომ „ბრაგას" ინგლისელებთან დადებითი ბალანსი აქვთ, „ბრიუგეს" კი უარყოფითი.

არადა, მე-11 წუთზე, ბირმინგემელ ჟიგიჩს პენალტი რომ გაეტანა, შესაძლოა ამ ჯგუფში საქმე უფრო ჩახლართული ყო, თუმცა ბრიტანელები ვიანამ დასაჯა და პირინეელებს საქმე გაუნაღდა.

**მარიბორი-ბრიუგე 3:4**

**1:0 ვოლაში (11), 2:0 დონკი (51სკ), 3:0 ვოლაში (68), 3:1, 3:2 დირარი (74, 77), 3:3 აკპალა (81), 3:4 დონკი (90)**

სლოვენიაში ნამდვილი საფეხბურთო თრილერი გაიმართა. მასპინძლები 74-ე წუთამდე 3:0-ს უგებდნენ ბელგიელებს, რომელთაც მხოლოდ გამარჯვება სწყუროდათ და იმდენი მოახერხეს, სანამ შინ სანუკვარი 3 ქულით ხელდამშვენებული არ დაბრუნდნენ. გამარჯვების მომტანი გოლი კი ზედ საფინალო სასტვენის წინ გაიტანეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბრიუგე | 5 | 3 | 1 | 1 | 11:8 | 10 |
| 2.ბრაგა | 5 | 3 | 1 | 1 | 11:5 | 10 |
| 3.ბირმინგემი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 |
| 4.მარიბორი | 5 | 0 | 1 | 4 | 6:14 | 1 |

### ი ჯგუფი

**სელტიკი-ატლეტიკო 0:1**

**0:1 თურანი (30)**

გლაზგოში თურანის მიერ გატანილი ერთადერთი გოლით „ატლეტიკომ" მეთექვსმეტედფინალის საგზური გაინაღდა და ბოლო ტურს დამშვიდებული დაელოდება.

**რენი-უდინეზე 0:0**

„უდინეზეს" შეეძლო ჯგუფის აუტსაიდერ „რენთან" მოგებით „ატლეტიკოს მსგავსად შემდეგ ეტაპზე გასულიყო, მაგრამ ეს საქმე ბოლო ტურისთვის გადადო. აპენინელები შინ „სელტიკს" დაუხვდებიან და ფრეც ჰყოფნით მეთექვსმეტედფინალში გასასვლელად.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 10 |
| 2.უდინეზე | 5 | 2 | 2 | 1 | 5:6 | 8 |
| 3.სელტიკი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| 4.რენი | 5 | 0 | 3 | 2 | 4:7 | 3 |

# თავისუფალ ჭიდაობაში მედალოსნები გამოვლინდნენ

სპორტდარბაზი „არენა" თავისუფალი სტილით ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატს მასპინძლობდა. ორდღიანი ტურნირის პირველ დღეს მედლები ოთხ წონით კატეგორიაში: 55, 66, 84 და 120 კილოგრამებში გათამაშდა.

პირველ-ორ წონაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე გორის სახელით მოჭიდავე სპორტსმენები ავიდნენ. 55 კილოგრამში ჩემპიონი ბესიკ გოჩაშვილი გახდა, ხოლო 66-ში ყველას ნაკრების ტიტულოვანმა წევრმა ოთარ თუშიშვილმა აჯობა, რომელიც ხალიჩას ხანგრძლივი ტრავმიანობის შემდეგ დაუბრუნდა. პეკინის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა მართალია დაბრუნება უმალ ოქროთი აღნიშნა, მაგრამ ფინალში მორიგი ტრავმა მიიღო და რამდენიმე კვირა ისევ მკურნალობა მოუწევს.

84 კილოგრამში საქართველოს ჩემპიონი ბექა ჭელიძე გახდა, ხოლო მძიმე წონაში ყველას გიორგი საკანდელიძემ აჯობა.

ტურნირის მეორე დღეს მედლები დარჩენილ სამ წონაში გათამაშდა. 60 კილოგრამის ფინალში გორის გუნდის წევრებმა დავით ბერძნიშვილმა და გიორგი ბალიაშვილმა იჭიდავეს და ბერძნიშვილმა დაძაბულ, სამსეტიან შეხვედრაში იმარჯვა.

74 კილოგრამში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე თბილისელი იაკობ მაქარაშვილი ავიდა, ხოლო 96 კილოგრამში ყველას საქართველოს ნაკრების ტიტულოვანმა წევრმა გიორგი გოგშელიძემ აჯობა, რომელიც ხალიჩას ხანგრძლივი იძულებითი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა.

**გამარჯვებულთა და პრიზიორთა სრული სია კი ასეთია:**

55 კგ: 1. ბესიკ გუჩაშვილი (გორი); 2. გიორგი ედიშერაშვილი (თბილისი); 3. ამირან ელბაქიძე (გორი), ტრისტან ჩირგაძე (ქუთაისი)

60 კგ: 1. დავით ბერძნიშვილი (გორი); 2. გიორგი ბალიაშვილი (გორი); 3. მურთაზ კვესაძე (ქუთაისი), მალხაზ ქურდიანი (ბოლნისი);

66 კგ: 1. ოთარ თუშიშვილი (გორი); 2. კობა კაკალაძე (აჭარა); 3. ზურა იაკობაშვილი (ყვარელი); გიორგი ცუცქირიძე (ქუთაისი);

74 კგ: 1. იაკობ მაქარაშვილი (თბილისი); 2. ზურაბ ერბოწონაშვილი (საგარეჯო); 3. გოგა ხუჭუა (სამტრედია), გიორგი მარსაგიშვილი (სტეფანწმინდა);

84 კგ: 1. ბექა ჭელიძე (აჭარა); 2. თორნიკე სვანიძე (თბილისი); 3. მარად ზოიძე (აჭარა), სანდრო ამინაშვილი (გარდაბანი)

96 კგ: 1. გიორგი გოგშელიძე (გორი); 2. ელიზბარ ოდიკაძე (თბილისი); 3. დავით ქერაშვილი (თბილისი), მამუკა კორძაია (აჭარა);

120 კგ: 1. გიორგი საკანდელიძე (თბილისი); 2. ლევან ბერიანიძე (თბილისი); 3. ლევან სეთურიძე (სტეფანწმინდა), გიორგი მეშვილდიშვილი (ონი).

# კონსერვატორიაში შუმანის საფორტეპიანო კონცერტი ჩატარდება

ეკა ირემაშვილი



**3 დეკემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი კონსერვატორიის დიდ დარბაზში საფორტეპიანო მუსიკის კონცერტს გამართავს.**

**როგორც თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ზურაბ ოიკაშვილმა „ახალ თაობას“ განუცხადა:**

– ოპერისა და ბალეტის თეატრი კიდევ ერთ შესანიშნავ საღამოზე გიწვევთ. თეატრის ორკესტრთან პირველად დაუკრავს ძალიან საინტერესო ახალგაზრდა ქართველი პიანისტი თათია შარანგია-შევარდნაძე, რომელიც შეასრულებს რობერტ შუმანის საფორტეპიანო კონცერტს. მსმენელი ასევე მოისმენს ფრანც შუბერტის მუსიკას – უვერტიურას „იტალიურ სტილში“ და „დაუმთავრებელ“ სიმფონიას. კონცერტს წარუძღვება თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი, დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანო.

არ გაუშვათ ხელიდან შანსი, არ გამოტოვოთ კონცერტი, ის ნამდვილად დაუვიწყარი იქნება. თათია შარანგია-შევარდნაძეს საკმაოდ საინტერესო შემოქმედებითი გზა აქვს გავლილი. ის სწავლობდა ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის 28-ე სამუსიკო სკოლა-კოლეჯში საფორტეპიანო კლასში პედაგოგ ირმა რუხაძესთან. გამორჩეული მუსიკალური მონაცემების პიანისტმა ბავშვობიდანვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. 12 წლის ასაკში ფრანგი მუსიკოსის, კლარა მონიუშკოს მიწვევით მან მონაწილეობა მიიღო პარიზში, კორტოს სახელობის დარბაზში გამართულ კონცერტში „საოცარი ბავშვები“. წარმატებული აღმოჩნდა ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსებში თათიას მონაწილეობა – საბერძნეთში გამართულ პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში მოიპოვა I პრემია და ლაურეატის წოდება, ლიტვაში გამართულ კონკურსზე კი გახდა გრან პრის მფლობელი და ასევე გადაეცა სპეციალური პრიზი ბაროკოს სტილის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისთვის.

თათიას მასწავლებლები სხვადასხვა პერიოდში იყვნენ ცნობილი ქართველი და უცხოელი მუსიკოსები – თენგიზ ამირეჯიბი, ედიშერ რუსიშვილი, ბრიჯიტ ანჟერერი. თათია მონაწილეობდა მამიკო სუდას (იაპონია), მარკ ლაფორეს (საფრანგეთი) მასტერ-კლასებში. გამოჩენილმა ქართველმა პიანისტმა ელისო ვირსალაძემ, მიუნხენში თათიას შესრულებით მოისმინა შოპენისა და ლისტის საკონცერტო ეტიუდები და საუკეთესო შეფასება მისცა პიანისტს. თათია შარანგია-შევარდნაძე ჩაირიცხა პარიზის რეგიონალურ კონსერვატორიაში პროფესორ ივ ანრის კლასში, მოგვიანებით სწავლა განაგრძო პარიზის უმაღლეს ნაციონალურ კონსერვატორიაში პროფესორ ჟაკ რუვიეს ხელმძღვანელობით. საფრანგეთში სწავლის პერიოდში თათიას გამართული აქვს კონცერტები პარიზის ცნობილ დარბაზებში – ლანდოვსკის სახელობის დარბაზი, რუსული კულტურის ცენტრი, ფორეს სახელობის დარბაზი. ქართველმა პიანისტმა სხვადასხვა წლებში გამართა საფორტეპიანო მუსიკის კონცერტები. შეასრულა ბახის კონცერტი (რე მინორი) თბილისის კამერულ ორკესტრთან ერთად (სამხატვრო ხელმძღვანელი ლიანა ისაკაძე, დირიჟორი გიორგი ბაბუაძე). ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად რევაზ ტაკიძის დირიჟორობით წარდგა რაველის კონცერტით მარცხენა ხელისთვის საქართველოს ეროვნულ-მუსიკალურ ცენტრში. თათიამ მონაწილეობა მიიღო ფონტენბლოში გამართულ შოპენის შემოქმედებისადმი მიძღვნილ ფესტივალში. დაუკრა ჰამბურგში გამართულ კომპოზიტორ ოთარ ტატიშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილ კონცერტზე. გასულ წელს თათია შარანგია-შევარდნაძემ დაამთავრა პარიზის უმაღლესი ნაციონალური კონსერვატორია და წარმატებულ საშემსრულებლო მოღვაწეობას აგრძელებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ამჯერად კი ქართველი პიანისტი თბილისის კონსერვატორიაში ისევ დაუკრავს. თათიას კარიერაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ამა წლის იანვარში თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში ახალბედა პიანისტის მიერ გამართული რომანტიკული მუსიკის საღამო, რომელმაც მსმენელში დიდი მოწონება დამსახურა.

თათია შარანგია-შევარდნაძის კონცერტს მაესტრო ჯანლუკა მარჩიანო უდირიჟორებს. მიუხედავად იმისა, რომ დირიჟორმა ორიოდე დღის წინ ქართველი კომპოზიტორის გოგი ჩლაიძის ოპერა იდირიჟორა და საპრემიერო კონცერტები ჩაატარა, უკვე მზად არის ახალგაზრდა პიანისტის საფორეტპიანო მუსიკის კონცერტსაც წარუძღვეს და შუმანისა და შუბერტის ნაწარმოებები ორკესტრთან ერთად ააჟღეროს.

**ზურაბ ოიკაშვილი:**

– ჯანლუკა მარჩიანო იტალიელია და ამჟამად ჩვენი ორკესტრის მთავარი დირიჟორია. ის სწავლობდა საფორტეპიანო ფაკულტეტზე ფლორენციის მუსიკალურ აკადემიაში, დაამთავრა პიზას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტი. მისი პედაგოგები იყვნენ ჯოაკინ აშუკარო, პაოლო რესტანი, თანამედროვე მუსიკას კი სწავლობდა მასიმილიანო დამერინის ხელმძღვანელობით. მარჩიანო ეროვნული და საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსების ლაურეატია, მისი საკონცერტო დებიუტი 10 წლის ასაკში შედგა. მუსიკალური დირექტორის ამპლუაში იგი ხშირად ხელმძღვანელობდა სხვადასხვა ღონისძიებებს, მათ შორის, პარმის თეატრში ვერდის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებულ ღონისძიებას და საერთაშორისო კონკურსს რომში. მას ხშირად იწვევენ ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსებზე ჟიურის წევრად. იგი მიიწვიეს ლიუბლიანას ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც მუშაობდა ლორის ვოლტოლინის ასისტენტად, ხოლო დიტერ როსბერგის ასისტენტად გუნოს „ფაუსტისა“ და ოფენბახის „რაინის ალების“ მსოფლიო პრემიერის მზადებისას.

***– რით არის ეს მაესტრო გამორჩეული?***

– ცნობილია, რომ ჯანლუკა მარჩიანომ ზაგრების თეატრში იდირიჟორა „ნაბუქო“ და „სევილიელი დალაქი“ რეპეტიციის გარეშე, რის შემდეგ იგი დაინიშნა სამხატვრო ხელმძღვანელად და თეატრის მთავარი დირიჟორიც გახდა. მიწვეული დირიჟორის ამპლუაში იგი თანამშრომლობს სლოვაკელი სოლისტების კამერულ ორკესტრთან, რუმინეთის ჯორჯ ენესკუს ფილარმონიულ ორკესტრთან, ინგლისის კამერულ ორკესტრთან, ლიბანის ფილარმონიულ ორკესტრთან, პეკინის სიმფონიურ ორკესტრთან, სარაევოს ფილარმონიულ და ბანჯალუკას ფილარმონიულ ორკესტრებთან. ჯანლუკა მარჩიანო თანამშრომლობს ისეთ ცნობილ მუსიკოსებთან, როგორებიც არიან – პაოლეტა მაროკუ, დონატა დანუნციო ლომბარდი, ნინო სურგულაძე, ალექსანდრ აგაჩე, ზორან ტოდოროვიჩი, ეგლისე გუტიერესი, თამარ ივერი, ინვა მულა, ირინა ლუნგუ, ელისაბეტა ფიორილო, ერმონელა იაჰო, დარიო შმუნკი, ზელჩკო ლუჩიკი. სარდინიის ქალაქ სასარის ვერდის თეატრში მაესტროს ხელმძღვანელობით გაიმართა დებიუსის ადრეული კანტატის „რჩეული ქალწულისა“ და პულენკის ოპერა-ბუფას „ტირეზიას მკერდის“ იტალიური პრემიერები. მაესტრომ ზაგრებში იდირიჟორა „ნაბუქო“, მისივე დირიჟორობით პეკინის ფინანსურ ცენტრში ადგილობრივ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად საზეიმო გალა-კონცერტი გამართა საქვეყნოდ აღიარებულმა მომღერალმა ანდრეა ბოჩელიმ. ჯანლუკა მარჩიანომ ინგლისში ლონგბოროს ფესტივალზე იდირიჟორა „ტრავიატა“, შემდეგ „ტურანდოტი“, „კარმენი“, „კონკია“ ზაგრებში, „სასინჯი ქვა“ – ვერდის თეატრში სასარიში, „ტოსკა“ გრანჯ პარკ ოპერისთვის, „ფავორიტი ქალი“ და „ტრავიატა“ კი იდირიჟორა ჩელსის საოპერო ჯგუფთან ერთად ლონდონში. მისი დირიჟორობით „ფიგაროს ქორწინება“ და „დონ ჯოვანი“ მოისმინეს ლონგბოროს ფესტივალზე, სადაც იგი დაბრუნდა ლიბრეტისტ და პონტეს ციკლის ბოლო ოპერის „ასე იქცევა ყველა ქალის“ სადირიჟოროდ. მაესტრომ მინსკში იდირიჟორა „ტრავიატა“ და „სევილიელი დალაქი“.

***– როგორია მაესტროს უახლესი გეგმები?***

– მიუხედავად იმისა, რომ ჯანლუკა მარჩიანო ამჟამად არის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, ასევე ბეირუთის ალ ბუსტანის ფესტივალის მუსიკალური ხელმძღვანელი, მისი სამომავლო გეგმები საკმაოდ დატვირთული და მრავალფეროვანია. მაესტროს უახლოესი გეგმები უკავშირდება კვლავ ლონგბოროს ფესტივალს, სადაც იდირიჟორებს „ჯადოსნურ ფლეიტას“, გრეინჯ პარკის ფესტივალზე იდირიჟორებს „მადამ ბატერფლაის“, „პურიტანებს“, აგრეთვე „ტოსკას“ 2012 წლის ივნისში, ხოლო „ტურანდოტს“ იდირიჟორებს ოვიედოს თეატრში 2012 წლის ნოემბერში.

## ოლიმპიური ლეგენდა სპორტიდან ლონდონის გავლით წავა

14-გზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მაიკლ ფელპსმა განაცხადა, რომ 2012 ლონდონის წლის ოლიმპიადის შემდეგ თავს დაანებებს აქტიურ სპორტს. 26 წლის ამერიკელი მოცურავე ლონდონში აღარ ეცდება იმ რეკორდის გაუმჯობესებას, რომელიც წინა ოლიმპიადაზე დაამყარა.

2008 წელს პეკინში მან რვა დისციპლინაში მოიგო ოქროს მედალი და გააუმჯობესა ლეგენდარული თანამემამულის მარკ სპიცის მიერ 1972 წელს მინხენში დამყარებული რეკორდი – შვიდი ოქრო ერთ ოლიმპიადაზე.

ფელპსი ლონდონშიც არაერთ სახეობაში გამოვა, თუმც მან რამდენადმე შეიცვალა პროფილი და ამბობს რომ სხვა დისციპლინებში ცდის ძალას.

მისსივე განცხადებით არც ფელპსი და არც ბევრი მისი თანაგუნდელი აღარ ჩაიცვამს სპიდოს საცურაო კოსტუმს, რომელმაც ბოლო წლებში ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და მისი მომხმარებელი სპორტსმენები სკანდალში აღმოჩნდნენ გახვეულნი. ამ ფირმის მაღალტექნოლოგიური სამოსით ბოლო სამ წელიწადში მოცურავეებმა რამდენიმე ათეული მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესეს.

– არ მინდა, რომ ჩემი წარმატება სპორტულ ინვენტარს მიეწეროს. 2012 წლის ოლიმპიადა ჩემთვის მესამე და უკანასკნელი იქნება და მინდა, რომ ლონდონში ყოველგვარი სკანდალის გარეშე მოვიპოვო მედლები, – განაცხადა ფელპსმა.



# ტერაქტი ერაყის ბაზარში: 10 მოკლულია, 25 – დაჭრილი



ერაყის დასახლებულ პუნქტს ხალესში ხუთშაბათს ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა. სააგენტო „როიტერის“ მონაცემებით, არანაკლებ 10 ადამიანი დაიღუპა, კიდევ ოცდახუთმა სხვადასხვა სიმძიმის ჭრილობები მიიღო.

როგორც ხალესის პოლიციის თანამშრომლებმა განაცხადეს, საქალაქო ბაზარში გაჩერებული ავტომობილი აფეთქდა. მანქანა ჰაერში ავარდა, როდესაც დილით ბაზარში მყიდველებმა შეკრება დაიწყეს.

ხალესი, ძირითადად სუნიტურ პროვინცია დიალაში, შიიტურ ანკლავს წარმოადგენს.

ადრე ქალაქი „ალ-ქაიდას“ ციტადელად იყო ცნობილი, თუმცა ხელისუფლებამ რეგიონიდან „ბოევიკები“ განდევნა.

აფეთქების შემდეგ ქალაქის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ კომენდანტის საათი გამოაცხადა. ამის შესახებ „როიტერს“ ხალესის პოლიციის წარმომადგენელმა ალი ალ-ტემიმიმ განუცხადა.

აფეთქებამ ერაყის უსაფრთხოების პრობლემები კვლავ გაამწვავა, საიდანაც მომდევნო რამდენიმე კვირაში დაახლოებით 13 ათას ამერიკელ სამხედროს გაიყვანენ – ეს ერაყში აშშ-ს შეჭრიდან თითქმის ცხრა წლის შემდეგ და სადამ ჰუსეინის მმართველი რეჟიმის დამხობის შემდეგ მოხდება.

ერაყში კიდევ ერთ მსხვილ ტერაქტზე ორშაბათს იტყობინებოდნენ. მაშინ თვითმკვლელმა-ტერორისტმა ასაფეთქებელი მოწყობილობა მოქმედებაში მოიყვანა ციხესთან, რომელიც ბაღდადის ჩრდილოეთით მდებარეობს. დაიღუპა 198 ადამიანი, 22-მა ჭრილობები მიიღო.

დანაღმული ავტომობილი პენიტენციალური დაწესებულების მთავარ შესასვლელთან აამოქმედეს. ეს ბაღდადიდან 25 კილომეტრში, ქალაქ ტაჯიში მოხდა. დაღუპულებს შორის – 10 სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელია, კიდევ 9 ადამიანი – სამოქალაქო პირი.

ტერაქტზე პასუხისმგებლობა არც ერთ დაჯგუფებას არ აუღია.

ასევე ორშაბათს ბაღდადში ნაღმმრტორცნიდან საპარლამენტო კომპლექსი დაცხრილეს. ორი ადამიანი დაიღუპა, კიდევ სამი, მათ შორის ე.წ „ქურთული კოალიციის“ ოფიციალური წარმომადგენელი, დეპუტატი მუაიდ ატტეიბი დაიჭრა.

ამერიკული ჯარების გაყვანის წინ, ექსტრემისტები მკვეთრად გააქტიურდნენ.

ცნობისთვის, ერაყი, ქვეყანა დასავლეთი აზიაში. მოიცავს ზაგროსის მთების ჩრდილო-დასავლეთის უმეტეს ნაწილს, სირიის უდაბნოს აღმოსავლეთ ნაწილს და არაბეთის უდაბნოს ჩრდილოეთს.

სახელი მომდინარეობს ძველი სემიტური ურუქისაგან. ასე ერქვა შუმერულ-აქადურ ქალაქს, რომლის მნიშვნელობაა „მდინარეთა შუა“. მისი ძველი სახელია მესოპოტამია, რაც ბერძნულად ასევე „შუამდინარეთს“ ნიშნავს.

ერაყმა 1921 წელს გამოაცხადა დამოუკიდებლობა. 1958 წლამდე ქვეყანას მართავდა ჰაშიმიტების დინასტია (ფაისალ I და ფაისალ II ).

მონარქიის დამხობის შემდეგ ერაყში რესპუბლიკური მმართველობა დამყარდა. 1968 წელს ხელისუფლების სათავეში მოვიდა პარტია ბაასი, რომელმაც „ანტიიმპერიალისტური კურსი“ აიღო და დაიწყო რეფორმების გატარება.

1974 წელს ქვეყნის ჩრდილოეთში გამოცხადდა ქურთისტანის ავტონომია.

1980-88 წლებში ერაყი მონაწილეობდა ფართომასშტაბიან ომში ირანთან, ხოლო 1990 წელს იგი შეიჭრა მეზობელი ქუვეითის ტერიტორიაზე და მოახდინა მისი ანექსია. მხოლოდ საერთაშორისო კოალიციური ძალების აქტიურიმონაწილეობითმოხერხდა აგრესიის შედეგების ლიკვიდაცია.

დადგენილია, რომ ირანთან ომში ერაყმა ქიმიური იარაღი გამოიყენა, ხოლო 1988 წელს – ქვეყნის შიგნითა, ქურთების წინააღმდეგ.

ამ ომების გამო, 1991 წელს გაერომ ერაყის მიმართ საერთაშორისო სანქციები დააწესა, რამაც გამანადგურებელი ეფექტი მოახდინა ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობაზე. ერაყის ჩრდილოეთსა და სამხრეთში – შეიქმნა დახურული ზონები, სადაც პატრულირებდა აშშ-სა და ბრიტანეთის ავიაცია. ჩრდილოეთის დახურულ ზონაში ქურთებმა ავტონომიური რეგიონი შექმნეს. უკანასკნელ წლებში გაერო ცდილობდა, დაეყოლიებინა ერაყის მმართველი რეჟიმი მასობრივი განადგურების იარაღის განადგურებაზე, მაგრამ უშედეგოდ. 2003 წლის მარტში აშშ-ს და დასავლური კოალიციის სამხედრო ინტერვენციის შედეგად სადამ ჰუსეინის რეჟიმი ჩამოშორებულ იქნა ხელისუფლებისაგან.

ორი წლის განმავლობაში ქვეყანას მართავდა საოკუპაციო დროებითი ადმინისტრაცია, რომელმაც მოამზადა ერაყის სამოქალაქო ძალებისათვის ხელისუფლების გადაცემის წინაპირობები.

2005 წლის 6 აპრილს ჩატარდა ერაყის ისტორიაში პირველი დემოკრატიული არჩევნები. ქვეყნის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ჯალალ თალაბანი, ქურთი აჯანყებულების ყოფილი ლიდერი.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. კატეგორიული, დაჟინებითი მოთხოვნა; 2. მოტოციკლეტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 3. სატირული ხასიათის მიბაძვა; 4. ხშირი წიწვოვანი ტყის ზონა ევროპის, აზიის, ამერიკის ჩრდილო ნაწილში; 5. გრამატიკის ნაწილი; 6. ოსაკაში განთავსებული იაპონიის ყველაზე დიდი აეროპორტი; 7. მონასტრის მსახური; 9. თავლია ღუმელი მწვადის შესაწვავად; 13. ქალაქი ჰოლანდიაში, სადაც განთავსებულია სამეფო რეზიდენცია და სამთავრობო დაწესებულებები; 17. ქართული გაზეთი; 18. რაიონული ცენტრი რაჭაში.

**თარაზულად**: 1. ბრიტანეთის ნაწილი; 3. ცეკვა თითის წვერებზე ბალეტში; 8. პატარა კაფე საფრანგეთში; 10. უცნაური, სასაცილო, სასეირო ამბავი, შემთხვევა; 11. სპირტიანი სასმელი; 12. მინერალური წყალი ჯავის რაიონში; 14. სახელმწიფო ევროპაში; 15. მსხვერპლად შეწირული რამ; 16. დუდუკზე შესრულებული დილის ჰანგი; 19. თიხის, ცეცხლგამძლე ლაბორატორიული ჭურჭელი; 20. ხეობაზე გაყვანილი ხიდი; 21. ქალაქი კახეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დეკადანსი; 2. ბოსფორი; 3. ბილბაო; 4. სალდო; 5. „ენეიდა“; 11. „ლინატე“; 12. ლაგაზი; 14. კომო; 16. რანჩერო; 17. ემბარგო; 19. „ლაკოსტა“; 21. ბამბა; 22. დიოდი.

**თარაზულად:** 6. სელადონი; 7. „კრახუნა“; 8. დანია; 9. ადაჟიო; 10. ალილო; 13. ასაკი; 15. ტრაფალგარი; 18. მენზულა; 20. მაგო; 21; „ბაზელი“; 23. კომპრომისი; 24. გალები.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მაჰარაჯა; 2. ოტიატრი; 3. ომანი; 4. კოკაინი; 5. სულგუნი; 10. მარტვილი; 11. მასპინძელი; 12. მიკრობი; 15. დიოსკურია; 16. ფლინტი; 17. ვიმპელი; 20. არალი.

**თარაზულად:** 6. სანატორიუმი; 7. გოლეული; 8. საიგაკი; 9. დაგერი; 13. წიდა; 14. ყარაი; 18. ტრიკოტაჟი; 19. კილტი; 21. ურეკი; 22. „გინესი“; 23. ნინოშვილი; 24. პლასტიკა.

# „ტრანსპარენსი ინტერნეიშენალმა“ მსოფლიოში კორუფციის მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა

**საერთაშორისო ორგანიზაცია „ტრანსპარენსი ინტერნეიშენალმა“ კორუფციის დონის მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა.**

კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, 2011 წლის მონაცემებით, 183 ქვეყანას შორის საქართველო 64-ე პოზიციაზეა და მხოლოდ სამი პუნქტით ჩამორჩება თურქეთსა და ლატვიას.

მსოფლიოს უმსხვილეს ეკონომიკებს შორის რეიტინგში რუსეთი ყველაზე კორუმპირებულ ქვეყნად დასახელდა. ის 143-ე პოზიციას იკავებს და ნიგერიას, ტოგოსა და უგანდას უტოლდება.

143-ე პოზიციაზე აღმოჩნდნენ აზერბაიჯანი და ბელარუსიც. უკრაინა კი 152-ე ადგილზეა.

მსოფლიოს ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულ ქვეყნებად „ტრანსპარენსი ინტერნეიშენალის“ კვლევაში ახალი ზელანდია, ფინეთი და დანია დასახელდნენ. ბოლო ადგილებზე კი ავღანეთი, ჩრდილოეთი კორეა და სომალი მოხვდნენ.




კორუფციის აღქმის ინდექსს არასამთავრობო ორგანიზაცია ყოველწლიურად სხვადასხვა სახის კორუფციული ფაქტების მიხედვით ადგენს.

კორუფციის რეიტინგს „ტრანსპარენსი ინტერნეიშენალი“ 1995 წლიდან ადგენს. ორგანიზაცია სახელმწიფო მოხელეებს და პოლიტიკოსებს შორის კორუფციის გავრცელებას აფასებს. ინდექსი კორუფციული მოღვაწეობის ყველა შესაძლო ფორმას განიხილავს.

რეიტინგის შედგენისას ხელისუფლების მიერ გატარებული ანტიკორუფციული ზომები ასევე ფასდება.

ცნობისთვის, კორუფცია (ლათ. ქორრუმპერე – ვაფუჭებ) – ვრცელი გაგებით სახელმწიფო ძალაუფლების არადანიშნულებისამებრ გამოყენებაა არალეგიტიმური, როგორც წესი, საიდუმლო, პირადი კეთილდღეობისთვის.

მმართველობის ყველა ფორმა შეიძლება გახდეს კორუფციის წყარო.

ყველაზე გავრცელებული ფორმებია პატრონაჟი, მოქრთამვა, გამოძალვა, ძალაუფლების გამოყენება, გაფლანგვა და ნეპოტიზმი.

როგორც წესი, სახელმწიფო მოხელეთა კორუფცია ორგანიზებული კრიმინალური ქმედებების, როგორიცაა ნარკობიზნესი, ფულის გათეთრება, პროსტიტუცია და სხვა, ხელშეწყობის მიზნით ხდება, თუმცა ის ამით არ შემოიფარგლება.

შესაძლებელია კორუფცია სხვა სახის კრიმინალური ქმედების დაფარვის მიზნით არ ხდებოდეს.

კორუფციის განმარტება განსხვავდება ქვეყნების მიხედვით.

გარკვეული სახის პოლიტიკური დაფინანსების პრაქტიკა, რომელიც ლეგალურია ერთ ქვეყანაში, შესაძლებელია არალეგალური იყო მეორეში.

რიგ ქვეყნებში პოლიციასა და სამართალდამცავ ორგანოებს ფართო ძალაუფლება აქვთ იმაზე, თუ ვის ჩათვლიან დაპატიმრების და სასჯელის მისჯის კანდიდატად და ზღვარი სამართლიანობასა და კორუფციას შორის შეიძლება საკმაოდ ძნელი გასავლები იყოს. ქვეყნებში სადაც ინტერესთა ჯგუფების პოლიტიკა და ლობირების პრაქტიკა მიღებულია ის, რაც სხვაგან კორუფციად ჩაითვლებოდა.

ამ შემთხვევაში შესაძლებელია ოფიციალური ჯგუფის ლეგიტიმურ უფლებად იქნეს მიჩნეული.

# ყირგიზეთში პირველად ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა მოხდა

**ყირგიზეთში არჩეული პრეზიდენტის, ალმაზბეკ ატამბაევის ინაუგურაცია გაიმართა. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, რომელმაც არჩევნები ხმების 62%-ით მოიგო, ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემის პრეცედენტი შექმნა — დამოუკიდებელი ყირგიზეთის ისტორიაში ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა. უახლოეს ხანში, სახელმწიფოს ახალ მეთაურს ახალი პრემიერ-მინისტრის და ახალი მთავრობის დანიშვნა მოუწევს.**



ამასობაში, რუსეთში ყირგიზეთის ახალი ხელისუფლებისგან ლოილობის დამტკიცებას ელიან.

ყირგიზეთის არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონია ხუთშაბათს, დილით ბიშკეკში გაიმართა.

– ღვთის და ხალხის წინაშე ვფიცავ, სამართლიანად განვახორციელო სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილება, დავიცვა ადამიანის და მოქალაქის უფლებები, ვიყო ერთგული ყირგიზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის, – წარმოთქვა ფიცი სახელმწიფოს ახალმა მეთაურმა.

ამ მომენტიდან მისი საპრეზიდენტო უფლებამოსილების მოქმედება იწყება, ატამბაევმა ქვეყანა შემდგომ ექვს წელს უნდა მართოს.

ახალმა პრეზიდენტმა მტრები უწოდა მათ, ვინც „ქვეყნის ეროვნული ნიშნით დაყოფას ცდილობს“.

– ჩვენი სამშობლოს ერთიანობას უნდა მივაღწიოთ და ისინი, ვინც ქვეყნის ეროვნული ნიშნით ან რეგიონებად დაყოფას ცდილობენ, ქვეყნის მტრები არიან....სახელმწიფომ უნდა შექმნას პირობები დანარჩენი კულტურების და ენების შენარჩუნებისთვის და განვითარებისთვის, რადგან ჩვენ მრავალნაციონალური საზოგადოება გვყავს, – აცხადებს ყირგიზეთის ახალი პრეზიდენტი.

ინაუგურაციის ცერემონიალს ესწრებოდნენ თურქეთის და საქართველოს პრეზიდენტები, ყაზახეთის და ტაჯიკეთის პრემიერ-მინისტრები, უზბეკეთის, ბელორუსის, თურქმენეთის და ჩინეთის პარლამენტის სპიკერები.

რუსეთის დელეგაციას საგარეო მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი ხელმძღვანელობდა.

ექსპერტებმა უკვე აღნიშნეს, რომ რუსეთის დელაგაციის დონე დაწეულია.

– ეს არა ატამბაევისთვის გამოწვევა, არამედ მოსკოვის რეაქციაა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლაზე. არსებული ინფორმაციით, ბიშკეკში ორმხრივი, რუსულ-ქართული მოლაპარაკებების მცდელობა იყო. თუმცა, დღეს სააკაშვილთან მოლაპარაკებისთვის საუკეთესო მომენტი არ არის, – უთხრა „ნოვაია გაზეტას“ მოსკოვის კარნეგის ცენტრის ექსპერტმა, ალექსეი მალაშენკომ.

ყირგიზეთის ახალი პრეზიდენტი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელია – იგი რესპუბლიკაში ერთ-ერთი ყველაზე ძველი და პოპულარული პარტიაა. სწორედ სოციალ-დემოკრატები ატამბაევის ხელმძღვანელობით, ქვეყნის ყოფილი მმართველების დამხობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ.

2005 წლის მარტში „ფერადი რევოლუციის“ შედეგად თანამდებობა დაკარგა და ქვეყნიდან გაიქცა პრეზიდენტი ასკარ აკაევი. ის ვადამდელი არჩევნების შედეგად 2005 წელს კურმანბეკ ბაკიევმა შეცვალა, რომელიც მეორე ვადით 2009 წელს აირჩიეს. თუმცა, გადატრიალების შედეგად ასევე ჩამოაგდეს.

2010 წელს, „სახალხო რევოლუციის“ ტალღაზე ხელისფლებაში როზა ოტუნბაევას ხელმძღვანელობით, დროებითი მთავრობა მოვიდა. გამარჯვებული ოპოზიციის ლიდერმა ხელისუფლების შენარჩუნება არ მოინდომა.

ასე რომ, ყირგიზეთის პრეზიდენტის ამჟამინდელი არჩევა – რესპუბლიკის უახლოეს ისტორიაში სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილების გადაცემის პირველი, არაძალადობრივი გადაცემაა.

გასული წლის ზაფხულში მიღებული კონსტიტუციის თანახმად, ყირგიზეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა, რის გამოც პრეზიდენტს მხოლოდ წარმომადგენლობითი და საგარეო პოლიტიკური ფუნქციები აქვს შენარჩუნებული.

თუმცა, ახალ პრეზიდენტს უფრო ფართო უფლებამოსილებები ექნება, თუ მისი პარტია ახალ პარლამენტში პოზიციებს შეინარჩუნებს.

დონორების, პირველ რიგში საერთაშორისო სავალუტო ფონდის, დიდი დახმარების მიუხედავად, დამოუკიდებლობის შემდეგ ყირგიზეთი ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდის. მთავარი ბუნებრივი რესურსებია – ჰიდროენერგია, ოქრო და მიწის იშვიათი ლითონების მნიშვნელოვანი მარაგები, ქვანახშირის, ნავთობის და ბუნებრივი აირის ექსპლუატაცია საკუთარი მოხმარებისათვის; ვერცხლისწყალი, ბისმუტი, ტყვია, თუთია.

საექსპორტო პროდუქცია – კვების პროდუქტები, მანქანათმშენებლობის პროდუქცია, შალი, ლითონები. ეროვნული ვალუტა – სომი.

ქვეყნის ტერიტორია 1855 წლიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო.

1924 წელს შეიქმნა ყარა-ყირგიზეთის ავტონომიური ოლქი, 1926 წელს – ყირგიზეთის ასსრ.

1936 წელს – შეიქმნა ყირგიზეთის სსრ. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წელს.

2005 წლის მარტში, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განვითარებულმა დრამატულმა მოვლენებმა დაასრულა ასკარ აკაევის 15-წლიანი მმართველობა.

# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ვენერა, შვილები ნელი, ლალი, მერაბი, შვილიშვილები მაია, კახა, რუსუდანი, გია, მარიკა, გოჩა, ქეთი, ლაშა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



**ვალერიან სერგოს ძე რომელაშვილი**

პანაშვიდი: 2 დეკემბერს 17 საათზე.

დაკრძალვა: 3 დეკემბერს 14 საათზე

მისამართი: ნუცუბიძის პირველი მიკრორაიონი, მე-11 კორპუსი. სართული 8

---

ცრემლით, გულისტკივილით, სინანულით მივაცილებთ უაღრესად კეთილშობილ პიროვნებას, რომელიც მართლაც დააკლდა ოჯახს, ნათესავ-მეგობრებს, ქალაქს... იცხოვრა კაცურად, მოყვასისადმი ერთგულებით, სითბოთი, სიყვარულით...

ვემშვიდობებით **ბატონ**

**სოსო ხარატიშვილს**

***მანანა ხარატიშვილის მეგობრები:***

*მაია ბოკუჩავა, დარეჯან საყვარელიძე, ნაილი ჭინჭარაული, იამზე მაჭავარიანი, მანანა ხვედელიანი, ნინო წერეთელი, თამრიკო წერეთელი, ნატა იაკობაშვილი, მარინა გოგლიძე, მარინა ინოზემცევა*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა. 12-დან 17 საათამდე.**

# ისლანდიის პარლამენტმა პალესტინა „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ აღიარა



ისლანდიის პარლამენტმა ხმების უმრავლესობით პალესტინა სახელმწიფოდ აღიარა. პალესტინის ავტონომიის საგარეო საქმეთა მინისტრის რაიდ ალ-მალკის განცხადებით, ისლანდიამ პალესტინა 1967 წლის საზღვრებში აღიარა.

„ასოშიეიტედ პრესის“ ინფორმაციით, აღნიშნულ გადაწყვეტილებას ისლანდიის პარლამენტის 63 წევრიდან მხარი 38-მა დაუჭირა. ცამეტმა დეპუტატმა თავი შეიკავა, 12 კენჭისყრაზე არ მივიდა.

შესაბამისად ისლანდია გახდა დასავლეთ ევროპის პირველი სახელმწიფო, რომელიც პალესტინის სახელმწიფოს აღიარებს.

– ისლანდიამ პირველმა დასაველთ ევროპაში გადადგა ეს ნაბიჯი, – განაცხადა ქვეყნის საგარეო საქმეტა მინისტრმა ოსურ სკარფეინსონმა.

მისივე თქმით, პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მას აძლევს უფლებას, ქვეყნის მთავრობის სახელით გააკეთოს ოფიციალური განცხადებს, თუმცა ამ ნაბიჯის გადადგმამდე ის კონსულტაციებს გაივლის სკანდივანიის სხვა ქვეყნებთან.

პალესტინის ავტონომიის საგარეო საქმეთა მინისტრის რაიდ ალ-მალკის განცხადებით, ის უახლოეს პერიოდში ეწვევა ისლანდიას, რათა გაფორმდეს ხელშეკრულებები ურთიერთცნობისა და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის თავმჯდომარემ მაჰმუდ აბასმა ამას წინათ განაცხადა, რომ პალესტინელებს სურთ გაეროს სრულუფლებიან წევრობას მიაღწიონ. მისი თქმით, ეს სამშვიდობო პროცესის განვითარების პარალელურად მოხდება.

პალესტინის ლიდერმა დაამატა, რომ ისრაელის ხელისუფლებისგან პალესტინის 1967 წლის საზღვრებში აღიარებას მოითხოვს. როგორც ამას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, მადრიდის კონფერენციის შეთანხმებები და არაბული სამშვიდობი ინიციატივა განსაზღვრავს.

შეგახსენებთ, რომ პალესტინის აღიარების განცხადებები გაკეთებული აქვთ კუბას, ჰონდურასს, კოსტა-რიკას, ნიკარაგუას, დომინიკის რესპუბლიკას, არგენტინას, ბრაზილიას, ბოლივიას, ჩილეს, ეკვადორს, სალვადორს.

31 ოქტომბერს „იუნესკოს“ გენერალურმა კონფერენციამ, გაეროს სააგენტოს ამ უმაღლესმა ორგანომ, პალესტინის „უნესკოში“ ორგანიზაციაში მიღებას კენჭი უყარა. კენჭისყრის შედეგად პალესტინის ხსენებულ ორგანიზაციაში გაწევრიანების რეზოლუციას მხარი იუნესკოს წევრმა 107-მა ქვეყანამ დაუჭირა. 14 ქვეყანა კი წინააღმდეგ წავიდა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# TV პროგრამა

## პარასკევი 2 დეკემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 თოქ-შოუ "არენა" 13.50 დოკ. ფილმი 15.00 სერ. **"მეორე შანსი"** 17.00 ავტოპილოტი 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. **"მეორე შანსი"** 21.00 ვინ არის ოლივერი 22.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 კავკასუს ლაივი 00.00 წითელი ზონა 01.00 მხ. ფილმი **"კოლია"** 03.00 მოამბე 03.20 მხ. ფილმი **"უძლური ცეცხლი"** (18) (ა. ჯოლი) 05.10 მხ. ფ. **"დიდი თევზი"**

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00 სერ. **"ელიტარული უბანი"** 20.00 მხ. ფილმი **"ზამთრის ბუნიობა"** 1-ლი ს. 21.00 ფეხბურთში ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრა 01.00 მხ. ფილმი **"შეუსრულებელი მისია"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"როსალინდა"** 11.00 სერ. **"კლონი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 პროფილი (გან.) 18.45 სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** 19.45 სერ. **"სახლი მეზობლად"** 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.30 კომედი შოუ 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"მოპარული ბედნიერება"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 სერ. **"ქალის სიტყვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 ბიზნეს-ლიდერი (გან.) 16.00 სერ. **"შურისძიების საფასური"** 17.40 სერ. **"ევა ლუნა"** 19.05 სერ. **"ბედისწერის ქალა"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 23.00 თოქ-შოუ 00.20 ღამის შოუ (გან.) 01.45 მხ. ფილმი **"ბუჩ კესიდი და სანდენს კიდი"** (პ. ნიუმენი) (სუბტ.) 03.30 მხ. ფ. **"ჯონი მნემონიკი"** (კ. რივზი) (სუბტ.) 06.30 სერ. **"მარინა"**

08.00 ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" 08.55 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. **"20000 ლიე წყალქვეშ"** 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"მარტოხელა მტრედის დაბრუნება"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა (გან.) 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. **"ექიმი ქმორი"** 10.00 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50 სერ. 13.00 სამედიცინო პროექტი 13.30, 21.00 სერ. 15.15 სერ. **"ექიმი ქმორი"** 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 19.35 სერ. **"ეს მაფიაა"** 23.00 მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** 08.30 განთიადი 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.45 დოკ. ფილმი "უკვდავი სული" (ილია ჭავჭავაძე) 11.40 აქტუალური თემა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"ალყა"** 13.30 კონცერტი – ე. ვირსალაძე 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 მხ. ფილმი **"ენი მწვანესახურავების მამულიდან"** 16.25 დოკ. ფილმი "ხიდი" 17.05 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.25 წარმატების ფორმულა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი **"მთვარის მოტაცება"** 1-ლი ს. 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 22.40 დოკ. ფილმი "ღირსი მამა ილარიონ ქართველი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "სამი საქართველო" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 დეკემბერი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

- აშშ დოლარი — 1,6613
- ევრო —2,2702
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208
- რუსული რუბლი — 0,057

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით —3-7, ღამით — -5 -3

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 5-10, ღამით — -4 -2

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -4-4, ღამით — -15 -3

**ამინდის პროგნოზი 2 დეკემბრისთვის**








# 30 ნოემბრიდან

## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

## „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“

## პირველი ტომი - ტირანები

ისტორიის 100 ყველაზე სასტიკი დესპოტი და დიქტატორი

გამოსაცემად მზადდება:

- 100 გამოჩენილი მხედართმთავარი
- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- კანიბალიზმის ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები – იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## ასტროპროგნოზი 2 დეკემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, მაგრამ მაინც ნუ გაფლანგავთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — სახლში სიახლეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **ლომი** — ახალი პროექტი გაამართლებს, თავს ბედნიერად იგრძნობთ. **ქალწული** — თავს გალაღების ნება მიეცით, უკან არ დაიხიოთ. **სასწორი** — ყურადღების ცენტრში მოექცევით, ყველაფერი გამოგივათ. **ღრიანკალი** — ცოტა დაისვენეთ, გადაღლილი ხართ. **მშვილდოსანი** — არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. მშვილდოსანი — უარი არ თქვათ სიყვარულზე, იყავით თავისუფალი. **თხის რქა** — მშვენიერი დღეა, ბევრ საინტერესო რამეს გაიგებთ. **მერწყული** — სიურპრიზი გელით, ამდენს არ ელოდით. **თევზები** — ყველაფერი ძველებურად არის, პრობლემები არ გაქვთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ქუბრიაშვილი „ტულონში“ კიდევ 3 წლით



საქართველოს ნაკრების მორკინალმა დავით ქუბრიაშვილმა „ტულონ-თან“ სამი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი. ფრანგული კლუბის ხელმძღვანელებმა მისით კმაყოფილება ახალი ხელშეკრულებით გამოხატეს.

ქუბრიაშვილი 2008 წლიდან თამაშობს „ტულონში“, სადაც არაერთი მსოფლიო დონის მორაგბე ირიცხება, იგი მუდმივად ძირითადშია და სოლიდური თამაშის წყალობით წლეულს „ბარბაროსებად“ წოდებულ მოფლიო ნაკრებშიც იქნა მიწვეული.

ქუბრიაშვილის გარდა „ტულონში“ კიდევ ორი ქათველი მორაგბე ირიცხება — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრები ლევან ჩილაჩავა და კონსტანტინე მიქაუტაძე მიმდინარე სეზონში გადავიდნენ ამ კლუბში და თუმცა ჯერჯერობით დუბლშემადგენლობაში, „ესპუარებში“ არიან, მოკლე დროში იგეგმება მათი ძირითად გუნდში ინტეგრირება.

„ტულონი“ დაინტერესებულია კიდევ ერთი „ბორჯღალოსანის“, ვასილ კაკოვინის გადაბირებით, რომელიც ასევე ელიტარულ ფრანგულ კლუბ „ბრივ-ში“ თამაშობს და საფრანგეთში უკვე შეიქმნა ძლიერი მორკინალის სახელი.

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 2. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 3. ყოველდღიური გაზეთი შვეიცარიაში; 4. ეგვიპტის ძველი დედაქალაქი; 5. საქართველოს ეკონომიკის მინისტრი; 10. საფეხბურთო სტადიონი ვალენსიაში; 11. საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა; 12. სველ კედელზე წყლის საღებავებით შესრულებული ნახატი; 15. უბანი ძველ თბილისში; 16. კურკოვანი ხილი; 17. ღვთის სადიდებელი შეძახილი ქრისტიანულ მღვდელთმსახურებაში; 20. ფრანგი მწერალი „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ავტორი.

**თარაზულად**: 6. წითელი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 7. უძველესი ქართული ხალხური თეატრალური თამაში-წარმოდგენა; 8. ქალაქი იმერეთში; 9. რაიმე ფაქტის ან მოვლენის ერთ-ერთი ახსნა; 13. პატარა კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 14. სახელმწიფო ჰიმალაებში; 18. შებოლილი ძეხვის ერთ-ერთი სახეობა; 19. ჯაზის ერთ-ერთი სტილი; 21. წლიური ფულადი გადასახადი კომლზე ძველად საქართველოში; 22. მოგონილი, შეთხზული რამ; 23. აჭარული ცეკვა; 24. ამერიკული წარმოების ინდივიდუალური რეაქტიული ჭურვი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## პაატა ბურჭულაძემ ანგარიში ჩაგვაბარა




ეკა ირემაშვილი


მსოფლიოში სახელგანთქმულმა ბანმა პაატა ბურჭულაძემ ქართულ საზოგადოებას ანგარიში ჩააბარა და საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე იმ შედეგებზე დაწვრილებით ისაუბრა, რაც მისმა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „იავნანამ“ დაარსებიდან დღემდე — 8 წლის განმავლობაში განახორციელა.

— ერთგვარი ანგარიში მინდა ჩაგაბაროთ, რაც 8 წლის განმავლობაში ჩვენი ფონდის მიერ გაკეთდა, — ამ ფრაზით გახსნა პრესკონფერენცია სახელოვანმა ქართველმა მომღერალმა.

საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ დამფუძნებელმა პაატა ბურჭულაძემ საზოგადოებას ბავშვების დახმარებისკენ მოუწოდა. პრესკონფერენციაზე ფონდის საქმიანობის წელი შეჯამდა და როგორც ქართველმა მომღე-


გაგრძელება მე-8 გვერდზე


## კატა ყოველთვის თათებზე ხტება?

**ტესტი**



**ტესტის პასუხებს დადებითი ან უარყოფითი პასუხები გაეცით**

1. ყოველთვის ვიცი რას მოვიმოქმედებ, თუ ბედმა მიმტყუნა.
2. დარწმუნებული ვარ, რომ საქმე პირველი ცდით არ გამოვა, მეორით აუცილებლად გამოვა.
3. აზარტში შესულიც კი თავს გინების უფლებას არ ვაძლევ.
4. წარუმატებლობის შემდეგ კიდევ უფრო მობილიზებული ვხდები.
5. ყოველთვის დეტალურად მაქვს წარმოდგენილი, როგორ უნდა ვიმოქმედო, რომ არ დავმარცხდე.
6. არ მომწონს უგრძნობელი ადამიანები, რომლებსაც არ აღელვებთ სხვისი მარცხი.
7. როდესაც მიჭირს, საკუთარ თავს ვეუბნები „მადლობა თქვი, უარესი რომ არ დაგემართა.“
8. გამარჯვება მიხარია.
9. მიმაჩნია, რომ მოგება ბანქოში შემთხვევის საქმეა.

**პასუხები** დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით

**0-3 ქულა**: თქვენ აქტიურად ეძებთ პრობლემებს, ან თავად იქმნით მათ. საკუთარი ძალების გარდა ყველაფრის იმედი გაქვთ, მთავრობით დაწყებული და ზებუნებრივი ძალებით დამთავრებული.

**4-6 ქულა**: თქვენ იმ ადამიანების კატეგორიას განეკუთვნებით, რომლებიც ნებმისმიერი საზოგადოების დასარყდენს შეადგენენ. შესანიშნავი მუშაკი ხართ, ხელმძღვანელობისადმი ლოიალურად განწყობილი. როგორც წესი, არ ისახავთ მიზნებს, რომლის მიღწევაც არ შეგიძლიათ.

**7-9 ქულა**: რეალურ მიზნებს ისახავთ და ყოველთვის უფრო მეტს აღწევთ. ახერხებთ წარუმატებლობისგანაც კი სარგებლობის მიღებას. ახერხებთ გამარჯვებისაკენ მიმავალი მოკლე გზის მოძებნას.

**გ. თ.**